# დროშა

№ 10 ოქტომბერი 1962

669
1962



ეროვნული
ბიბლიოთეკა

43



# სახალხო გმირები



# უკვდავი მატიანე

**(1812 წლის სამამულო ომის 150 წლისთავი)**

1812 წლის სამამულო ომს, რომლის 150 წლისთავს ზეიმით აღნიშნავს მთელი ჩვენი ქვეყანა, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რუსეთის ისტორიაში. მან, სხვა საყურადღებო ფაქტორებთან ერთად, განაპირობა გამათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი აზვირთება, თავისუფალი აზრის ინტენსიური განვითარება და დეკაბრისტული იდეოლოგიის ფორმირება. უფრო მეტიც. ის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენაა. რუსმა ხალხმა, რომელმაც ხსენებულ ომში გაანადგურა ნაპოლეონ ბონაპარტის ეგრეთ წოდებული „უძლეველი არმია", არა მარტო დაიცვა თავის სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ დიდი ბიძგი მისცა ნაპოლეონის მძიმე რეჟიმის პირობებში მყოფ ევროპის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

1812 წლის 12(24) ივნისს მსოფლიო ბატონობის იდეით შეპყრობილმა საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონ პირველმა გადმოლახა მდინარე ნემანი და ვერაგულად დაესხა თავს რუსეთს. ნაპოლეონის არმია იმ დროისათვის ყველაზე დიდი არმია იყო და შედგებოდა 600 ათასი კაცისა და 1300 ქვემეხისაგან. ასეთი ბუმბერაზული ძალების წინააღმდეგ იმ ხანად რუსეთს შეეძლო გამოეყვანა სამჯერ უფრო ნაკლები ჯარი, რომელმაც საომარი მოქმედება უკან დახევით დაიწყო. ეს, კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისუფალი არჩევანის საქმე კი არ იყო, არამედ გარდუვალი აუცილებლობის შედეგი.

რუსეთის არმია განუწყვეტელი ბრძოლებით ქანცავდა და ილაჯს უწყვეტდა მტერს, უსპობდა ცოცხალ ძალას, ტექნიკას, პროდუქტებს. თავის ბაზებიდან რამდენიმე ათასი კილომეტრით დაშორებულ „დიდ არმიას" უძნელდებოდა საკვებით, მედიკამენტებითა და იარაღით მომარაგება. სმოლენსკის აღების შემდეგ ნაპოლეონის მდგომარეობა თითქმის უკვე კატასტროფული იყო, არმია თითქმის განახევრდა, ჯარისკაცები შიმშილობდნენ.

რუსი ხალხი აღსდგა დამპყრობელთა წინააღმდეგ. დიდს და პატარას, ქალსა თუ კაცს, ყველას სურდა თავისი წვლილის შეტანა მტრის განადგურების საქმეში „მე მოწმე ვიყავი სიმედგრის იშვიათი მაგალითისა — წერს ფრანგი თანამედროვე ფაბე. — მე ვნახე მამები, რომლებიც წინდაწინ მსხვერპლად წირავდნენ თავიანთ საყვარელ ვაჟიშვილებს, ოღონდ კი ეხსნათ სამშობლო. მე ვნახე მეტიც: ვნახე ნაზი დედები, რომელთაც ყოფნიდათ ვაჟკაცობა ეწინასწარმეტყველად ასეთი მსხვერპლის გარდუვალობა. მე ვხედავდი მშობლების, ცოლებისა და დების ტირილს და ამ ტირილში მესმოდა სიტყვები: ოღონდ კი გადარჩეს ჩვენი სამშობლო... სათანადოდ ვაფასებ რა ესპანელთა გმირობას, მე რუსებს მათზე მაღლა ვაყენებ".

რუსეთის არმია განაგრძობდა მოსკოვისკენ უკან დახევას. დედაქალაქში საგანგაშო მდგომარეობა შეიქნა. ქვეყანა უმაღლეს მთავარსარდლად მ. კუტუზოვის დანიშვნას მოითხოვდა. იმპერატორი ალექსანდრე პირველი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ამ მოთხოვნისათვის და მოქმედი არმიის სათავეში მიხეილ ილარიონის ძე დაეყენებინა.

კუტუზოვი კარგად ხედავდა, რომ უპირატესობა (სამხედრო ძალების სიდიდით) ჯერ კიდევ ნაპოლეონის მხარეზე იყო, მაგრამ მაინც საჭიროდ მიიჩნევდა გადამწყვეტი შეტაკების მოწყობას, გრძნობდა მის აუცილებლობას. ასე მომწიფდა აზრი გენერალური ბრძოლის შესახებ, რომელიც გაიმართა 1812 წლის 26 აგვისტოს (7 სექტემბერს) მოსკოვიდან 120 კილომეტრის დაშორებით სოფელ ბოროდინოსთან.

ეს უბადლო ბრძოლა დაიწყო დილის 5 საათზე და გვიან ღამემდე გასტანა. ორივე მხარე გააფთრებით იბრძოდა. მარტო ბაგრატიონის ფლეშების წინააღმდეგ ნაპოლეონმა გამოიყვანა დავუსა და ნეის რჩეული დივიზიები და 400-ზე მეტი ქვემეხი. მან მრავალსაათიანი სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ აიღო კიდეც ეს ფლეშები, მაგრამ რუსეთის არმიასთან მაინც ვერაფერს გახდა.

ბოროდინო ნაპოლეონის „უძლეველი არმიის" დასასრულის დასაწყისი იყო. ამას არც ნაპოლეონი უარყოფდა. „ჩემს მიერ გამართულ ბრძოლებს შორის, — ამბობდა იგი, — ყველაზე საშინელი ისაა, რომელიც მოსკოვთან გავმართე. ფრანგებმა მაშინ დაამტკიცეს, რომ ღირსნი იყვნენ გამარჯვებისა, ხოლო რუსებმა — უძლეველთა სახელი დაემსახურათ".

მოსკოვის აღებამაც კი ვერ გაამართლა ნაპოლეონის იმედები –– რუსებმა არც მაშინ მოიხარეს ქედი და არ შესთავაზეს ზავი. რუსეთში ყოფნას ყოველგვარი აზრი დაეკარგა. 6(18) ოქტომბერს აგრესორმა დატოვა მოსკოვი და მის მიერვე გაევერანებული სმოლენსკის გზით დაიწყო უკან დახევა.

რუსები ფეხდაფეხ მისდევდნენ ნაპოლეონს. მას ერეკებოდა არა მარტო რეგულარული ჯარი, არამედ დავიდოვის, პლატოვის, ფიგნერის, დოროხოვის, კუდაროვის, სახალხო გმირების: გერასიმე კურინის, თედორე პოტაპოვის, ერმალო ჩეტვერტაკოვის, ვასილისა კოჟინასა და სხვათა პარტიზანული რაზმებიც.

ნაპოლეონის „უძლეველი არმია" თითქმის მთლიანად იქნა ამოწყვეტილი. რუსი ხალხი, რომლის გმირობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მის წინააღმდეგ ბრძოლაში, გამარჯვებას ზეიმობდა.

* * *

ჩვენამდე მოღწეული არასრული ცნობებით 1812 წლის რუსეთის სამამულო ომში შვიდ-ათეულზე მეტ ქართველს მიუღია მონაწილეობა, აქედან თორმეტს ხსენებული ომისა და რუსეთის ჯარების 1813-1814 წლების საზღვარგარეთულ ლაშქრობის დროს გენერლის ჩინი ჰქონია. ესენი არიან: პეტრე და რომან ბაგრატიონები, ივანე და სიმონ ფანჩულიძეები, ვლადიმერ და ლევან იაშვილები, ივანე, სპირიდონ და ფილიპე ჯავახიშვილები, პავლე ბიბილური, ანტონ შალიკაშვილი და სიმონ განგებლიძე. ყველა ამათ ვაჟკაცობისა და გამბედაობის შესანიშნავი მაგალითები უჩვენებიათ და უმაღლესი სარდლობის მადლობა და მოწონება დაუმსახურებიათ.

მეტად კოლორიტულია გენერალ-ლეიტენანტ ლევან მიხეილის-ძე იაშვილის ფიგურა. აჯამებდა რა მის მოქმედებას 1812 წლის სამამულო ომში, გრაფი ვიტგენშტეინი იმპერატორ ალექსანდრეს წერდა: „ჩემს მოვალეობად მიმაჩნია უმორჩილესად გაცნობოთ, რომ თავადი იაშვილი ის გენერალია, რომელმაც ამ ომში წარჩინებული სამსახური გასწია და ყველაზე მეტად დამეხმარა იმ გამარჯვებათა მიღწევაში, რომელიც მე მტერზე მოვიპოვე".

ლევანის ძმა — ვლადიმერ იაშვილიც, სულ რაღაც 40-45 დღე რომ მონაწილეობდა ომში, ასევე წარმატებით მოქმედებდა. მისმა ოთხი ათასი კაცისაგან შემდგარმა ლაშქარმა მრავალი სასახელო ოპერაცია ჩაატარა, რომელთა შორის აღსანიშნავია ფრანგების მიერ ოკუპირებული ქალაქ ელნიას განთავისუფლება, რისთვისაც ის მადლიერმა მოსახლეობამ თავის საპატიო წევრად აირჩია.

მაღალი შეფასება დაიმსახურეს აგრეთვე სიმონ ფანჩულიძემ, სიმონ განგებლიძემ, ანტონ შალიკაშვილმა, პავლე ბიბილურმა და სხვა ქართველმა გენერლებმა.

ჩვენი ხალხის დამოკიდებულება 1812 წლის რუსეთის სამამულო ომისადმი არ განსაზღვრულა მასში რამდენიმე ათეული ქართველის მონაწილეობით. იმ წელს რუსეთს, როგორც ცნობილია, საფრანგეთს გარდა, ომი თურქეთთან და ირანთანაც ჰქონდა. ამ ომში ქართველების მასიურმა მონაწილეობამ საშუალება მისცა რუსეთის არმიის მთავარსარდლობას ირან-თურქეთის ფრონტიდან რეგულარული ჯარის საჭირო რაოდენობა გადაეყვანა და იგი უშუალოდ ნაპოლეონის წინააღმდეგ გამოეყენებინა.

რუსეთისა და საქართველოს ერთობლივი ბრძოლა ხელს უწყობდა და საიმედო საფუძველზე აყენებდა ამ ორი ხალხის მეგობრობას, რომელიც განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში გაიფურჩქნა.

**პროფ. ი. ანთელავა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



8831

# ამხანაგ ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძეს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სულით და გულით გილოცავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, თქვენი სამოცი წლისთავის დღეს.

გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

**საბჭოთა კავშირის**
**კომუნისტური პარტიის**
**ცენტრალური კომიტეტი**

**სსრ კავშირის**
**მინისტრთა საბჭო**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 10 (135) ოქტომბერი, 1962 წ.

გამოცემის XII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ვ. პ. მჟავანაძისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

**საქართველოს** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დიდი დამსახურების აღსანიშნავად მიენიჭოს ამხ. ვასილ პავლეს-ძე **მჟავანაძეს სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1962 წ. 21 სექტემბერი.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საზოგადოებრივ საწყისზე

**ე. გოგიაშვილი**

*კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.*

ყოველი საბჭოთა ადამიანი, აღნიშნულია სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში, უნდა გახდეს სახელმწიფოს მართვის აქტიური მონაწილე. კომუნიზმისაკენ ჩვენი საზოგადოების შემდგომი წინსვლის შესაბამისად მნიშვნელოვნად შემცირდება დრო, რომელიც მატერიალურ წარმოებაზე იხარჯება. ადამიანების თავისუფალი დრო სულ უფრო მეტად დაეთმობა სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ-მხატვრულ შემოქმედებას.

ამჟამად, როდესაც ჩვენი ქვეყანა კულტურული რევოლუციის დამაგვირგვინებელ ეტაპში შევიდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ საწყისებზე მშრომელთა მიზიდვას კულტურულ მშენებლობაში, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო უზრუნველყოფს იდეოლოგიურ აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებას და ცხოვრებასთან მის დაახლოებას. იგი ხელს შეუწყობს დემოკრატიისა და კოლექტიურობის შემდგომ განვითარებას, მასების აქტივობის ზრდასა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინებას.

პარტიის XXII ყრილობის წინ და ყრილობის შემდგომ პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მუშაობა იქნა გაწეული საზოგადოებრივ საწყისების განვითარებისათვის, განსაკუთრებით კულტურის დაწესებულებების ხაზით. ამ მუშაობის შედეგად დღეისათვის რესპუბლიკაში საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია 60-ზე მეტი სტაციონარული და მოძრავი ბიბლიოთეკა 75.600 წიგნით, 17 სახალხო მუზეუმი, 82 სახალხო თეატრი, 290-ზე მეტი რადიომაუწყებლობის რედაქცია, კინომოყვარულთა 61 წრე და კლუბი, რომელშიაც 700-ზე მეტი კინომოყვარულია გაერთიანებული, ამას გარდა შექმნილია წითელი კუთხეები, წიგნის სარეალიზაციო მაღაზია და კიოსკები. რესპუბლიკაში საზოგადოებრივ საწყისებზე არსებობს 510 მხატვრული თვითმოქმედების სხვადასხვა წრე, ასობით საკლუბო და საბიბლიოთეკო საბჭო, კულტურის განყოფილება, მოწინავეთა გამოცდილების სკოლა, წრეები და სხვ., რომელშიც დაახლოებით 150.000-ზე მეტი აქტივისტია გაერთიანებული.

ეს დაწესებულებები მრავალმხრივ მასობრივ პოლიტიკურ-აღმზრდელობით და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევიან მშრომელთა შორის, აქტიურად მონაწილეობენ მათ დარაზმვაში პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად.

დღეს რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებში, ქალაქებსა და სოფლებში საზოგადოებრიობის დახმარებით წარმატებით წყდება ბიბლიოთეკებისა და წიგნების გამცემი პუნქტების შექმნის ამოცანა. საზოგადოებრიობა აქტიურად ეხმარება ბიბლიოთეკებს ისეთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრაში, როგორიცაა ყოველ ოჯახამდე წიგნის დაყვანის საქმე.

ბიბლიოთეკების საზოგადოებრივ საწყისებზე განვითარებას სერიოზულ ყურადღებას უთმობენ ქობულეთის რაიონში. დიდი ხანი არ არის, რაც აქ კულტურის ორგანოების ინიციატივით მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობასთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნეს ბიბლიოთეკა, რომელსაც 2.000-ზე მეტი წიგნი გადასცეს. საზოგადოებრიობამ დიდი ინტერესი გამოიჩინა ბიბლიოთეკის მატერიალური ბაზის განმტკიცებისადმი. ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ გადაეცა სკამები, მაგიდები, კარადები და სხვა აუცილებელი ინვენტარი. შეიქმნა საბჭო, რომელიც გეგმიანად წარმართავს ბიბლიოთეკის მუშაობას. მოეწყო გამოფენა, ტარდება მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებთან, თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული პარტიის ყრილობის მასალები, საჭირო ლიტერატურის სარეკომენდაციო სია და სხვა. ბიბლიოთეკა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა შორის დიდი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს. საზოგადოებრივ საწყისებზე ბიბლიოთეკები შეიქმნა აგრეთვე ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობასთან, ჩაქვის ჩაის ფაბრიკასთან და სხვა წარმოება-დაწესებულებებთან.

ამ უკანასკნელ ხანებში მეტად გახშირდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მონაწილეობა კულტურის დაწესებულებათა მუშაობაში, რამაც დიდად [illegible] ხელი კულტურის სახლების, კლუბების და ბიბლიოთეკების როლის ამაღლებასა და მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და წარმოების ნოვატორების გამოცდილების პროპაგანდას.

სოფლის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან დღითი დღე იზრდება მოწინავეთა გამოცდილების კაბინეტების, უნივერსიტეტების, სკოლებისა და წრეების ქსელი, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ. მათში ლექტორებად ჩაბმული არიან მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სპეციალისტები. ამას გარდა რესპუბლიკის მრავალ რაიონში, მათ შორის მახარაძის, ზუგდიდის, თელავის, გურჯაანის, სამტრედიის, ქობულეთის, გალისა და სხვა რაიონებში შექმნილია მხატვრული აგიტბრიგადები და ლექტორიუმები, რომლებიც სხვა მრავალფეროვან საქმიანობასთან ერთად სისტემატურად უწევენ პროპაგანდას სოფლის მეურნეობის მუქურების გამოცდილებას, მეცნიერების ახალ მიღწევებსა და მათ დანერგვას სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში.

საზოგადოებრივ საწყისებზე ფართოდ იშლება მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ქსელი, ამჟამად რესპუბლიკაში სახელმწიფო მუზეუმების გარდა 17 მუზეუმი არსებობს საზოგადოებრივ საწყისებზე.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საზოგადოებრივ საწყისებზე განვითარების საქმეში საპატიო ადგილი უჭირავს სახალხო თეატრებს.

დღეისათვის რესპუბლიკაში 88 სახალხო თეატრი გვაქვს, რომელშიც 1.600-ზე მეტი თვითმოქმედი მსახიობია გაერთიანებული, მარტო 1961-1962 წლის სეზონის პირველ ნახევარში სახალხო თეატრების სცენაზე 40 ახალი პიესა დაიდგა, რომელთაგან უმრავლესობა თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა. სულ გაიმართა 414 სპექტაკლი, მათ შორის 190 გასვლითი სპექტაკლი, მომსახურება გაეწია 80.000-ზე მეტ მაყურებელს.

ქუთაისის სახალხო ოპერის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთანაც სულ ახლახან შეიქმნა სახალხო ოპერის თეატრი, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი ისეთი პოპულარული ნაწარმოების დადგმას, როგორიც არის ზ. ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „დაისი“. დირიჟორ ვ. ფალიაშვილის, რეჟისორ გ. გაჩეჩილაძის, მხატვარ ო. ლითანიშვილისა და ქორეოგრაფ გ. ბაქრაძის დაუღალავმა შრომამ სრულყოფილად გადმოგვცა მთელი ოპერის ჟღერადობა სახალხო თეატრის სცენიდან და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

მაღალშემოქმედებითი მუშაობის მაგალითებს იძლევიან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ბორჯომის, ახალციხის, სამტრედიის, ცაგერის, ონის, ტყიბულის, თბილისისა და სხვ. სახალხო თეატრებიც.

საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობამ ფართო გზა ჰპოვა აგრეთვე რესპუბლიკის რადიომაუწყებლობასა და ტელეხედვაში. დღეისათვის რესპუბლიკაში საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია 290 რაიონული, საკოლმეურნეო და საწარმოო რადიორედაქცია და კვანძი.

საზოგადოებრივ საწყისებზე რადიორედაქციების შექმნამ კიდევ უფრო გააუმჯობესა რადიომაუწყებლობის ორგანოების მუშაობა და ხელი შეუწყო გადაცემათა მრავალფეროვნებას, კონკრეტულობას.

ამ მხრივ განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს გაზეთ „გორის“ რედაქციასთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ადგილობრივი რადიოგადაცემათა რედაქციის მუშაობა. აქ მიკროფონთან სისტემატურად გამოდიან პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკები, კომუნისტური შრომის დამკვრელები.

გაფართოვდა საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი კინომოყვარულთა წრეებისა და კლუბების ქსელი, რომელიც 700-ზე მეტ კინომოყვარულს აერთიანებს. საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია აგრეთვე კინომოყვარულთა რესპუბლიკური ორგბიურო, რომელსაც ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი ხელმძღვანელობს. ორგბიურო ნაყოფიერ მუშაობას ეწევა კინომოყვარულთა შორის, აწყობს კონსულტაციებს, ეხმარება მათ საინტერესო შემოქმედებითი საკითხების გადაწყვეტაში.

მასების კულტურული დონის ამაღლებასა და ესთეტიკური აღზრდის საქმეში დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი კულტურის უნივერსიტეტები, რომლებშიც ასობით მუშა, კოლმეურნე და ინტელიგენტი სწავლობს. კულტურის, ხელოვნების და ლიტერატურის მუშაკები თავიანთ სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ უსასყიდლოდ უტარებენ მათ ლექციებს, მოხსენებებს, აწყობენ პრაქტიკულ მეცადინეობებს.

უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკაში კულტურის სახალხო უნივერსიტეტების რიცხვი 82-დე გაიზარდა, რომელშიც 8.000-ზე მეტი მსმენელი და ლექტორია გაერთიანებული.

ბევრ რაიონსა და ქალაქში აქტიურად მიმდინარეობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის შემდგომი დემოკრატიზაციის პროცესი. შემოღებულ იქნა მოსახლეობის წინაშე ყოველწლიური ანგარიშგების ჩატარების პრაქტიკა. სწორედ ამ საანგარიშო კრებებზე ირჩევენ კლუბების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკებისა და კულტურის სხვა დაწესებულებების საზოგადოებრივ საბჭოებს, რომელთა მუშაობაში ამჟამად 75.000-ზე მეტი აქტივისტი მონაწილეობს.

გაივლის ცოტა ხანიც და საზოგადოებრივი საწყისები კიდევ უფრო ფართოდ, კიდევ უფრო მტკიცედ მოიკიდებს ფეხს კულტურული დაწესებულებების და მისი ორგანოების მუშაობაში, კიდევ უფრო გამრავლდება სახალხო კლუბების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, წითელი კუთხეების, კულტურის უნივერსიტეტების, სახალხო თეატრების, წიგნის მაღაზიებისა და კიოსკების რიცხვი და სოციალისტური კულტურის განვითარება კიდევ უფრო მეტად საყოველთაო, სახალხო საქმე გახდება.



м. ზიკმუნდი.

# „ვისურვებთ შეხვედრას ქართველ მეგობრებთან“



ჰანზელკა.

ცნობილმა ჩეხმა მოგზაურებმა მიროსლავ ზიკმუნდმა და ირჟი ჰანზელკამ, რომლებიც სასტუმრო „მოსკოვში“ იყვნენ ჩამომხტარი, თბილად და მეგობრულად მიგვიღეს. საუბარიც მეტად გულთბილად წარიმართა. მეტწილად მათი მოგზაურობისა და უახლესი გეგმების შესახებ ვბაასობდით.

როგორც ცნობილია, 1961 წლის იანვარს მ. ზიკმუნდმა და ი. ჰანზელკამ დაიწყეს თავიანთი მეორე მოგზაურობა, რომელიც აზიასა და ავსტრალიას მოიცავს. მათ ჭერჭერობით გაიარეს აზიის 72 სახელმწიფო. ახლა მათი მანქანები ჯაკარტაში დგანან. დღეისათვის სულ გადაიღეს 71 დოკუმენტალური ფილმი, აქედან დაამონტაჟეს და მალე ეკრანებზე გამოვა 21 ტელე-დოკუმენტალური და 2 ფართოეკრანიანი ფერადი ფილმი „არის თუ არა ქვეყნად სამოთხე“ და „ცეცხლის და ღმერთების სამყაროდან“. ამას გარდა მათ გამომცემლობებს გადასცეს რამდენიმე წიგნი და ფოტოალბომი.

— ჩვენი ახლანდელი ვიზიტი მოსკოვში, — ღიმილით გვიამბობს მიროსლავ ზიკმუნდი, — დაკავშირებული იყო ჩვენს 1964 წლის მოგზაურობასთან საბჭოთა კავშირში. მაგრამ ახლა მიზანი შეგვეცვალა. ჯერ კიდევ მოსკოვის აეროდრომზე დაშვებამდე ჩვენ შევიტყეთ საბჭოთა კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთ-3“-ის გაფრენის ამბავი. ეს ნამდვილი სენსაცია იყო. კოსმონავტს დეპეშით მივულოცეთ და, სხვათა შორის, პასუხიც მივიღეთ. ამჟამად ჩვენ არაფერს არ ვაკეთებთ, ველით ნიკოლაევსა და პოპოვიჩთან შეხვედრას და მათთან დამეგობრებას. ასე რომ, ოთხივე კოსმონავტი ჩვენი მეგობარი იქნება. გაგარინს 1961 წელს შევხვდით კოლუმბიაში, ტიტოვს — 1962 წელს სუმატრაზე.

ჩვენს კითხვაზე, თუ რა იყო ყველაზე საინტერესო აზიაში, აფრიკასა და ამერიკაში მათი მოგზაურობის დროს, ირჟი ჰანზელკამ გვიპასუხა:

— რა თქმა უნდა, ძნელია ამ მხრივ რომელიმე ხალხის ან ქვეყნის მკვეთრად გამორჩევა. ყველას აქვს თავისი მეტად საინტერესო მხარე. ჩვენთვის კი ყველაზე დასამახსოვრებელი თავისი რელიეფით და ხალხით იყო ნეპალი, სუმატრა, ნუბიის უდაბნო და პაკისტანი. დღემდე დაუვიწყარია აგრეთვე 1950 წელს მდ. ამაზონკაზე ადამიანის თავის ქალაზე მონადირეთა ტომთან გატარებული რამდენიმე კვირა. ადამიანზე მონადირე ველურ ხალხს ისე შევუყვარდით, რომ სურდათ ჩვენი დატოვება და დაოჯახება. მაგრამ როცა ვერ დაგვითანხმეს, მაშინ მათმა ბელადმა ამბიუამ გამოთხოვებისას გვაჩუქა თავისი 8-9 წლის ვაჟიშვილი ავვაკე. ამ მოულოდნელმა და მეტად ორიგინალურმა საჩუქარმა ჩაგვაფიქრა. ავვაკეს არც დაბადების მოწმობა ჰქონდა, არც ჩვენი ენისა გაეგებოდა რამე. რა უნდა გვექნა? რამდენიმე დღის ფიქრის შემდეგ წარვდექით ბელადის წინაშე და როგორც იქნა დავარწმუნეთ, რომ ჩვენი ქვეყანა მეტად მრისხანე და ცივია და იქ ჩასვლისთანავე ავვაკე გაიყინება და ქვად იქცევა (ყინულის ახსნა გაგვიჭირდა, რადგან ეკვატორზე სიცივე წარმოუდგენელი მოვლენაა). ასე დავაღწიეთ თავი ამ უცნაურ საჩუქარს.

— მოსკოვში ვიყავით 1954 და 58 წლებში, — გვითხრა ზიკმუნდმა, — გაოცებული ვართ მისი ფანტასტიკური ზრდით. ის დაუსახლებელი სტეპი, რომელიც ადრე აეროდრომიდან ქალაქამდე გავიარეთ, ახლა გაკვირვებას და აღტაცებას იწვევს ახალ-ახალი თვალწარმტაცი პროსპექტებით.

— რაც შეეხება თქვენს ქვეყანას, — იღიმება ირჟი ჰანზელკა, — ჩვენ ერთხელ უკვე ვიყავით საქართველოში 1954 წელს, ძალიან მოგვეწონა თქვენი ხალხი. განსაკუთრებით თქვენი გოგონები და ვაჟები თავიანთი ამაყი გამოხედვით და სამხრეთული ტემპერამენტით. ათი წლის თავზე, 1964 წელს ჩვენ კვლავ ვესტუმრებით თქვენს ლამაზ თბილისს: მანამდე კი ამ პატარა მოლოცვით მივესალმებით ქართველ ხალხს:

„ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს— „აღმოსავლეთ-3“ გაშვების მესამე დღე — ვისურვებთ შეხვედრას ქართველ მეგობრებთან.

პატივისცემით მიროსლავ ზიკმუნდი, ირჟი ჰანზელკა.

მოსკოვი 14. 8. 1962 წ.“.

გ. თიკანაძე.



საცაა მალე ჩაითვლის რვა ათეულ წელს და მაინც არაფერი აქვს არაჩვეულებრივი. მხოლოდ ხელები — ფართო, დაკოჟრილი ხელები ყვებიან მის ცხოვრებაზე უხმოდ. გგონია, ასეთი ხელები მას ჰქონდა მაშინაც, როცა იყო ჭაბუკი და როცა მისდევდა გუთანს მეჯვრისხევში. ჰო, ქართლის ამ პატარა სოფელში დაიბადა იგი და მის ხელებს მეჯვრისხეველ აზნაურთა კარზე განცდილი სიმკაცრე და მადლიანი ქართული მიწის ძალა გამოჰყვა.

„ძია გიორგი“, — ასე ეძახის მას ყველა. ასე ეძახდნენ მას ორმოცი წლის წინათაც, როცა იგი თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოსა და ობსერვატორიის ბაღში მოვიდა. და ახლა ძნელია წარმოიდგინო ეს ბაღი, თუ იქ არ დადის ოდნავ წელში მოხრილი, თმადათოვლილი მოხუცი. აქ ყველაფერს მისი ხელი ატყვია, აქ ყველა ბუჩქს მისი ხელი შეჰხებია, თვითეულ ყვავილს მისი ხელის სითბო უგრძვნია.

საცაა ოთხმოც წელს ჩაითვლის და მაინც არ ფიქრობს დასვენებაზე.

გათენებიდან გვიან ღამემდე დასტრიალებს იგი ყვავილებს, და განა მარტო ყვავილებს? ყველაფერზე შესტკივა გული გიორგი ქოჩორაძეს, ყველაფრის წესრიგში მოყვანა და ზრუნვა დასჩემდა და ამ ზრუნვაში ილევა დღე.

ერთი ასეთი ჩვეულებრივი დღე გათენდა ამ ხუთიოდე წლის წინათაც,



# ძია გიორგი

მხოლოდ თანამშრომლები ულიმოდნენ მას უჩვეულოდ. იმ დღეს განსაკუთრებით ცდილობდნენ ესიამოვნებინათ ძია გიორგისათვის. ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს კლუბი სადღესასწაულოდ იყო მორთული.

ეს არ ყოფილა არაჩვეულებრივი იუბილე. საერთოდ ის თითქმის არაფრით გამოირჩეოდა სხვა საზეიმო სალამოებისაგან. მხოლოდ სავარძელზე იჯდა თმადათოვლილი ბერიკაცი, მებაღე-დარაჯი და გარშემო ყველაფერი ბრწყინავდა. მის წინ მოწიწებით დაიხარა პროფესორ მიხეილ ნოდიას თავი. მას მადლობას უხდიდნენ ძველი და ახალი თანამშრომლები, მას მიართვეს ონავრებმაც ყვავილების თაიგულები.

ის იჯდა სავარძელში პატივისცემით და ყვავილებით გარშემორტყმული, ჰქონდა დაკოჟრილი, ნაჯაფარი ხელები პატიოსანი კაცისა და არ იცოდა სად წაეღო ისინი.

იმ დღეს მას შეუსრულდა 75 წელი...

ლია გოგიშვილი.

# ლეგენდარული ჩინელი მეგობარი



1886 წელს რუსმა ვაჭარმა კონსტანტინე პოპოვმა ჩაქვის ტერიტორიაზე 70 დესეტინა მიწა შეიძინა და ჩაის პლანტაციის გაშენება დაიწყო.

მეურნეობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მან ჩინეთიდან მოიწვია გამოცდილი სპეციალისტი ლაუ ჯინ-ჯაო.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე ლაუ ჯინ-ჯაო ენერგიულად მოეკიდა საქმეს და მოკლე ხანში ჩაის საუკეთესო პლანტაციები გააშენა. 1888 წელს მისი ხელმძღვანელობით სალიბაურში აშენდა ჩაის პირველი ფაბრიკა, მომდევნო წელს კი მუშაობა დაიწყო ჩაქვის მეორე ჩაის ფაბრიკამ.

ლაუ ჯინ-ჯაოს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ქართველი სპეციალისტების აღზრდაში, რომლებიც წარმატებით დაეუფლნენ პლანტაციების გაშენებისა და მოვლა-დამუშავების საქმეს.

ჩინელი მეგობარი ისე შეეწყო და შეეთვისა ჩვენს კუთხეს, რომ მალე ცოლშვილიც ჩამოიყვანა საქართველოში. ლაუს უფროსმა ვაჟმა ცოლად შეირთო ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი ნონა თუმმანიშვილი, რომელიც ამჟამად პეკინის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრაზე მუშაობს.

ლაუ ჯინ-ჯაო სიხარულით შეეგება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. 1926 წელს ხანში შესული სპეციალისტი სამშობლოში დაბრუნდა. საბჭოთა მთავრობამ ლაუ ჯინ-ჯაო ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ორდენით დააჯილდოვა.

საქართველოს მშრომელები დღესაც სიყვარულით იხსენიებენ ჩინელ მეგობარს ლაუ-ჯინ-ჯაოს, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს რესპუბლიკაში მეჩაიეობის განვითარებას.

რ. სხვიტარიძე.



როდესაც კოტე მარჯანიშვილზე ვლაპარაკობთ, ჩვენს თვალწინ იხატება ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებლის, განახლებული ქართული თეატრის დიდი ორგანიზატორის, საოცარი ნიჭით დაჯილდოებული რეჟისორის კოლოსალური სახე, რომელმაც სიკვდილის პირას მისული ქართული თეატრი სიცოცხლისაკენ გამოაბრუნა, იგი ერთბაშად მსოფლიოს მოწინავე თეატრალური კულტურის დონეზე აიყვანა, საფუძველი ჩაუყარა ორ ქართულ თეატრს, აღზარდა მრავალი დიდი მსახიობი, რეჟისორი და თეატრალური მხატვარი. ამასთან, მარჯანიშვილზე ვამბობთ ხოლმე, რომ ის არის რუსული თეატრის გამოჩენილი რეჟისორი. აქ, ამ მცირე მოცულობის წერილში ვრცელი მსჯელობის საშუალება არ არის, მაგრამ უსამართლობა იქნებოდა დავჯერებულიყავით ამ ტრადიციულ დახასიათებას და არ გვეთქვა, რომ კოტე მარჯანიშვილი არის რუსული თეატრის ერთი რეფორმატორთაგანი და იგი სამართლიანად უდგას გვერდით ისეთ კორიფეებს, როგორებიც იყვნენ კ. სტანისლავსკი, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ე. ვახტანგოვი, ვ. მეიერხოლდი. კ. მარჯანიშვილის მეთაურობით არსებული ნეზლობინის თეატრი რიგაში, მისი მუშაობა სამხატვრო თეატრში, კ. მარჯანიშვილის მიერ დაარსებული თავისუფალი თეატრი მოსკოვში (რომელშიც აღმოცენდა სახელოვანი კამერული თეატრი ა. თაიროვის ხელმძღვანელობით), რევოლუციური აღმაფრენით გამსჭვალული კიევის დრამატული თეატრი, ფენომენალური ფანტაზიის ნაყოფი — კომინტერნის კონგრესისადმი მიძღვნილი სანახაობის ავტორი, მრავალი ნიჭიერი მსახიობისა და რეჟისორის აღმზრდელი, საბჭოთა თეატრალური კულტურის ერთი მნიშვნელოვანი ფრთის — ქართული თეატრის სულისჩამდგმელი და მედროშე, — აი, ერთის თვალის გადავლებით ჩვენს წინაშე წარმოსახული სურათი დიდი რეჟისორის მუშაობის მასშტაბებისა, რაც მის მოღვაწეობას თეატრის კლასიკოსთა რიგებში აყენებს.



გენიოსებს სხვათა დამოწმებით არ ახასიათებენ. ისინი თვითონ განსაზღვრავენ თავის თავსო,—ამბობდნენ ძველი ბრძენები. მარჯანიშვილის მოღვაწეობა რუსულ და ქართულ თეატრებში ყველაზე თვალნათლივ ლაპარაკობს თავის შესახებ. მაგრამ არ შეიძლება არ გავიხსენოთ მსოფლიო ლიტერატურის კოლოსის მაქსიმ გორკის სიყვარული და პატივისცემა კოტე მარჯანიშვილისადმი. „მარჯანოვი ლაპარაკობს სახალხო კომედიაზე, მომავლის თეატრზე, იმაზე, თუ როგორ უნდა დაიდგას სპექტაკლები ღია ცის ქვეშ არა ნაკლებ ოცი ათასი კაცისათვის, — იგონებს ცნობილი რუსი მწერალი ლევ ნიკულინი, — თმაში ჭაღარა შეპპარვია, მაგრამ თვალები ახალგაზრდულად უციაფობს, ხოლო მარჯანიშვილს ხმა სულ ახალგაზრდული და მჟღერი აქვს. ალექსეი მაქსიმოვიჩი ხან მას, ხან ჭვავის შავი პურის ნატეხს უყურებს. გორკის ცრემლი უციმციმებს თვალებში, დაიხრება მარჯანოვისკენ და ეხვევა მას, ძლიერად, თან ნაზად მიიკრავს გულთან, როგორც ძმას.

ჩვენ ირგვლივ ვდგევართ, ვხედავთ ამ ძმურ გადახვევას და გვესმის გორკის სიტყვები:

—წმიდა სული...

კოტე მარჯანიშვილი, რუსული და ქართული თეატრის უნიჭიერესი რეჟისორი, არ შეუშინდა არც გაქვავებული შავი პურის ნატეხს, არც წერილებს, რომლებშიც მას საბჭოთა სატირული სპექტაკლების შექმნისათვის სიკვდილით ემუქრებოდნენ. ხელოვანის გულში არ ჩაქრა მოვალეობის გრძნობა და ამ კეთილშობილურ, წმიდა გრძნობას ხალხისადმი, მისი ხელოვნების სამსახურისადმი დიდად აფასებდა გორკი...

როცა კოტეს სახელს წარმოთქვამენ, ადამიანის სახე ნათდება სიხარულით, წარსულის ძვირფასი მოგონების ანარეკლით: ამ საოცარმა ოსტატმა როგორც რუსულ, ისე ქართულ თეატრებს თანაბრად მიუძღვნა თავისი სიცოცხლის მოყვარული, სიცოცხლის დამამკვიდრებელი ნიჭი, თავისი დაუშრეტელი ფანტაზია, სინათლისა და ფერის გრძნობა, სიტყვის მუსიკის დახვეწილი ალქმა, სახის გაგება, მთელი თავისი კეთილშობილი და მგზნებარე სული მხატვრისა“. ეს გრძელი ამონაწერი ლევ ნიკულინის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ მოგონებებიდან დამახასიათებელია ჩვენი საუკუნის პირველი მეოთხედის კულტურის დიდ მოღვაწეთათვის, რომლებიც აღფრთოვანებით, პატივისცემითა და სიყვარულით იგონებდნენ დიდი რეჟისორის მრავალფეროვან, მეტად საინტერესო მოღვაწეობას.

ოთხმოცდაათი წელი შესრულდა კოტე მარჯანიშვილის დაბადებიდან.

თვალწარმტაც ყვარელში, ილია ჭავჭავაძის მშობლიური სახლის ახლოს დგას ორსართულიანი, დიდი აივნით დამშვენებული შენობა, სადაც 1872 წელს დაიბადა კოტე მარჯანიშვილი.

კახეთის მომაჯადოებელი ბუნება თავისი განსაცვიფრებელი მრავალფეროვნებით პირველი სკოლა იყო მომავალი რეჟისორის გემოვნებისა და დაუშრეტელი ფანტაზიის ჩამოყალიბებაში. შემდეგ თელავის სასწავლებელი. საოჯახო წარმოდგენები, სცენაზე ფეხის ადგმა. მსახიობებთან ერთად მცირე რეჟისორული ცდები...

თბილისის ვაჟთა გიმნაზიამ ბევრი სახელმოხვეჭილი ადამიანი აღზარდა. აღსანიშნავია, რომ აქ, სწორედ იმ სააქტო დარბაზში, სადაც ას თორმეტი წლის წინათ განახლებული ქართული თეატრის პირველი სპექტაკლი დაიდგა. სუმბათაშვილ-იუჟინის ხელმძღვანელობით სცენაზე პირველად აიდგა ფეხი რუსული თეატრის მშვენებამ — ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ. აქვე, ამ დარბაზში გიმნაზიის მოსწავლე კოტე მარჯანიშვილი საბოლოოდ ეზიარა სცენას და მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ განშორებია... „ბევრმა არ იცის რომ მე მსახიობი ვიყავი, — წერდა კ. მარჯანიშვილი, — ეს, მთელი ათი წლის განმავლობაში მსახიობად ვმუშაობდი... 1903-04 წელი უკანასკნელი იყო ჩემს აქტიორულ ცხოვრებაში. რეჟისორულმა წარმატებებმა, ახალგაზრდა კაცის თავმოწონებამ, იმ ახალგაზრდა კაცისა, რომელიც ოცდაათი წლის ასაკში დიდი თეატრის სრულ ბატონ-პატრონს წარმოადგენდა, საბოლოოდ გადაწყვიტეს ჩემი ბედი... ამიერიდან მე მხოლოდ და მხოლოდ რეჟისორი ვარ. დარბაისლური შეხედულობისთვის წვერი მოვუშვი და ამრიგად წარვსდექი მოსკოვის თეატრალურ ბაზარზე 1904 წელს“. მარჯანიშვილის ახალ ასპარეზზე გამოსვლა სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც რეჟისორს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სრული დამოუკიდებლობა. ჩვეულებრივ, რეჟისორი უფრო ტექნიკური საქმიანობით კმაყოფილდებოდა. გამონაკლისს მხოლოდ ახლად დაარსებული სამხატვრო თეატრი წარმოადგენდა. „მე მხიბლავდა მისი (სამხატვრო თეატრის) სპექტაკლების მთლიანობა, მისი სიმართლე, მისი რეალიზმი“ — წერდა მარჯანიშვილი შემდგომ.



# სცენის დიდი რეჟირ მასტირი

ჯერ ირკუტსკის თეატრში, ხოლო შემდეგ რიგაში,—ნეზლობინის თეატრში მუშაობამ ერთბაშად გაუთქვა სახელი მარჯანიშვილს, როგორც ნოვატორ რეჟისორს, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ სპექტაკლი, ისე, როგორც ყველა მხატვრული ნაწარმოები, უნდა გამოელინდეს ერთიანი და მთლიანი ჩანაფიქრით. ეს კი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, ამბობდა კოტე, თუკი თეატრში გამოჩნდებოდა ისეთი პირი, რომელიც შესძლებდა შეედუღებინა თეატრის ყველა ცალკეული ელემენტი — ავტორი, მსახიობი, მხატვარი, მუსიკოსი და დაემორჩილებინა ერთნაირი ჩანაფიქრისთვის. „ამ პიროვნებად უნდა ქცეულიყო რეჟისორი, რომლის ძიებაშიც იმყოფებოდა ნეზლობინი“.

აქ, ამ თეატრში მუშაობისას მარჯანიშვილი დაუახლოვდა მაქსიმ გორკის, მათ ძლიერ შეუყვარდათ ერთმანეთი. დიდი მწერალი თავის პიესებს პირველად კოტეს უკითხავდა და მუდამ აღტაცებული იყო ამ პიესათა მარჯანიშვილისეული დადგმებით. გორკის გავლენით მარჯანიშვილი რევოლუციურ მუშაობაში ჩაება. 1905 წლის იანვარში კ. მარჯანიშვილმა რიგაში მოსწავლე ქართველთა სათვისტომოში გაერთიანებულ სტუდენტთა ჯგუფით სცადა თავს დასხმოდა ჟანდარმებს, რომლებსაც დაპატიმრებული დიდი მწერალი პეტერბურგს მიჰყავდათ.

ძალიან საინტერესო იყო მარჯანიშვილის მუშაობა ხარკოვში, სადაც ის ლიტვაროვის ანტრეპრიზით, ხოლო შემდეგ კი „ამხანაგობის“ ხაზით ფაქტიურად ხელმძღვანელობდა თეატრს. „ყველაზე დიდი მიღწევა ხარკოვში მქონდა. ეს იყო „ადამიანის ცხოვრების“ დადგმა. ლეონიდ ანდრეევმა ეს პიესა გამომიგზავნა თითქმის სეზონის დასასრულს...“ — წერს მარჯანიშვილი. ჟანდარმერიის დევნის შედეგად იგი იძულებული იყო ოდესას გადახვეწილიყო. შემდეგ, 1909 წელს იგი ახლად დაარსებულ ე. წ. მოსკოვის დიდი დრამატული თეატრის სულისჩამდგმელად და ფაქტიურ ორგანიზატორად გვევლინება, თუმცა ამ საქმის მოთავე და დამფინანსებელი კვლავ ნეზლობინი იყო. ნეზლობინთან პრინციპული უთანხმოების შედეგად მარჯანიშვილი შუა სეზონში თეატრიდან წავიდა. უაღრესად მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში მყოფ ხელოვანს, რომელსაც შემოდგომამდე სამუშაოს მიღების არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდა, ერთ დღეს კარს მიადგა ბულგარეთის განათლების მინისტრი და სთხოვა თავისი ქვეყნის თეატრალურ ხელოვნებას ჩადგომოდა სათავეში. მარჯანიშვილს შესანიშნავ პირობებს სთავაზობდნენ, რაც მეორე დღესვე ნოტარიუსთან გაფორმდა კიდეც.

სოფიაში გამგზავრების წინადღეს მარჯანიშვილი მოულოდნელად ნემიროვიჩ-დანჩენკომ სასაუბროდ მიიწვია. „ჩვენ გვაქვს ბევრი ცნობილი რეჟისორის განცხადება, მაგალითად ა. სანინისა, ნ. პოპოვისა, ფ. კომისარჟევსკისა, რომელთაც სურთ ჩვენს თეატრში მუშაობა, მაგრამ ჩვენ ვარჩევთ თქვენ განახოთ ჩვენს თეატრში“, — უთხრა მას ნემიროვიჩ-დანჩენკომ შეხვედრისთანავე. მარჯანიშვილს საოცნებოდ მიაჩნდა მსოფლიო ხელოვნების მშვენების — სამხატვრო თეატრში მუშაობა და უმალ დათანხმდა. ბულგარეთის თეატრების ხელმძღვანელის ჰონორართან შედარებით იგი მატერიალურად ბევრს ჰკარგავდა, მაგრამ მორალურად უსაზღვროდ მდიდარი იყო. მარჯანიშვილს სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანჩენკო თავისი საქმის გამგრძელებლად სთვლიდნენ, ხოლო თვით მარჯანიშვილი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ, როცა შემდგომ ახალგაზრდა მსახიობებთან მუშაობდა, სტანისლავსკის თეორიის საფუძვლებს იყენებდა.

თეატრში მისვლისთანავე მას გამოჩენილ ინგლისელ რეჟისორ გორდონ კრეგთან ერთად მოუხდა მუშაობა „ჰამლეტის“ დადგმაზე. რადგანაც კრეგს, მისი ჩვეულების მიხედვით დადგმა რამდენიმე წელს გაუჭიანურდა, თეატრის ხელმძღვანელობამ მარჯანიშვილს ახალი სპექტაკლის მომზადება დაავალა, ხოლო შემდეგ — „ჰამლეტის“ დამოუკიდებელი დამთავრება. ამას მოჰყვა დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“, ჰამსუნის „ცხოვრების ბრჭყალებში“. მარჯანიშვილი წერდა: „ჭეშმარიტად, რომ რაც აქამდე შემიქმნია, მთელი ჩემი სცენიური შემოქმედება იყო რუსული, რუსეთისაგან მიღებული, მაგრამ მისი კეთილმადლიერი აღზრდა მთავრდებოდა და მე გამოვდიოდი დამოუკიდებელ გზაზე. ჭეშმარიტად რომ „ცხოვრების ბრჭყალებში“ ეს იყო ჩემი პირველი ქართული სპექტაკლი“...

„სტანისლავსკისა და მარჯანოვის გზები არ გაყრილან — პირიქით, ისინი მიემართებოდნენ პარალელურად, მათი ძიებანი ერთ სიბრტყეზე მიმდინარეობდა და მათ განვითარების ერთნაირი ეტაპები განვლეს“, ასე წერს საინტერესო წერილში სტანისლავსკისა და მარჯანიშვილის შესახებ გ. კრიჟიცკი („სოვეტსკაია კულტურა“ 1962 წ. სექტემბერი). ამ წერილში მოთხრობილია მარჯანიშვილის უკანასკნელ სპექტაკლზე მცირე თეატრში. კოსტროვის ჩანაწერების მიხედვით, გაოცებას იწვევს მარჯანიშვილის „სარეპეტიციო პროცესის თანხვედრილობა სტანისლავსკის ახალ მეთოდთან, რომლის არსებობის შესახებაც მარჯანოვმა არა იცოდა რა“. კრიჟიცკის ეს წერილი ერთხელ კიდევ ადასტურებს მარჯანიშვილის რეჟისურის დიდ რეფორმატორულ თვისებებს და მის ადგილს თეატრალური ხელოვნების ყველაზე დიდ წარმომადგენელთა შორის.

მიუხედავად მარჯანიშვილის რეჟისურის მაღალოსტატობისა და წარმატებებისა, ბობოქარი სულისკვეთების მქონე ხელოვანი ვერ დაეტია სამხატვრო თეატრის მკაცრ ჩარჩოებში და 1913 წელს მოსკოვში „თავისუფალი თეატრი“ ჩამოაყალიბა. აქ, ამ თეატრში, რომელმაც სულ ერთი სეზონი იარსება, მთელი სიცხადით გამოჩნდა კ. მარჯანიშვილის ფენომენალური, მრავალფეროვანი შემოქმედება. დრამა, მუსიკალური კომედია, ოპერეტა, პანტომიმა — ყოველივე ეს ერთი მეორეს სცვლიდა და მოსკოვის საზოგადოებრიობაც დიდის ყურადღებითა და აღტაცებით უპასუხებდა სცენის ჯადოქარის დასის მეტამორფოზებს. „სოროჩინის ბაზრობა“, „მშვენიერი ელენე“ და სხვა სპექტაკლები სამუდამო შარავანდედმოსილი დარჩება რუსული თეატრის ისტორიაში, როგორც ნოვატორული, რეფორმატორული სპექტაკლები, რომლებმაც ახალი გზები დასახა რუსული თეატრის განვითარებაში. აქვე, ამ თეატრში მარჯანიშვილის ახლო მონაწილეობით მისმა ნიჭიერმა მოწაფემ ა. თაიროვმა, ა. კოონენთან ერთად შექმნა ცნობილი კამერული თეატრი, რომელმაც ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში არა ერთი ბედნიერი დღე მოჰგვარა თეატრის მოყვარულთ.

კ. მარჯანიშვილი ერთი იმ პირველთაგანი ხელოვანი იყო, რომელიც უყოყმანოდ დადგა რევოლუციის სადარაჯოზე და მთელის არსებით ხელი შეუწყო მისი მონაპოვარის განმტკიცებას. დამახასიათებელია, რომ ახალგაზრდა წითელი არმიის სარდლობა მარჯანიშვილის მიერ კიევში დადგმულ „ცხვრის წყაროს“ სამოქალაქო ომების ფრონტებზე მიმავალ ქარისკაცებს აწვრებდა. სცენიდან გადმოსროლილ ფრაზას „გაუმარჯოს ფუენტე ოვეხუნას“, — მქუხარე დარბაზი უპასუხებდა — „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას“.

მეტად საინტერესო იყო მარჯანიშვილის მიერ პეტროგრადში 1920 წელს დაარსებული კომიკური ოპერის თეატრი. მაგრამ თავისი გრანდიოზული ჩანაფიქრით და თვალშეუდგამი ფანტაზიით განხორციელებულ წარმოდგენას, რომელიც მან კომინტერნის კონგრესის გახსნას მიუძღვნა, არა შეედრება რა. ამ საოცარ სანახაობაში, რომელიც ღია ცის ქვეშ, უზარმაზარ მოედანზე მოეწყო, ათასობით შემსრულებელი მონაწილეობდა (საერთოდ მარჯანიშვილი სახალხო სანახაობათა დიდი ოსტატი იყო. მომსწრეებს არ დაავიწყდებათ დიდი ლენინის გარდაცვალების დღეებში მის მიერ სამგლოვიაროდ გაფორმებული მწუხარებით ცრემლმოსილი თბილისში).

1922 წლის 25 ნოემბერი ერთი იმ თარიღთაგანია, რომელსაც ქართველი ხალხი თავის საყვარელ დღესასწაულად თვლის: ამ დღეს რუსთაველის თეატრში კოტე მარჯანიშვილის დადგმით „ცხვრის წყარო“ წარმოადგინეს. სპექტაკლის მაღალმხატვრულობამ და იდეურობამ თვალნათლივ გამოხატა, თუ რა ძალას წარმოადგენდა ქართული თეატრის ნიჭიერი ახალგაზრდობა, თუ მას სათავეში ისეთი ძლიერი პიროვნება და დიდი ხელოვანი ჩაუდგებოდა, როგორიც კოტე მარჯანიშვილი იყო. აქ კოტე მარჯანიშვილს მთელი თავისი ნიჭის და ცოდნის ფართო გამოყენების საშუალება მიეცა. მას ხომ ახალგაზრდობიდანვე ჰკვებავდა დიდ ქართველ განმანათლებელთა შემოქმედება. იგი ხომ თავისი უფროსი მასწავლებლების, ქართული რეალისტური თეატრის კორიფეების — ნატო გაბუნიას, მაკო საფაროვა-აბაშიძის, ვასო აბაშიძის, ლადო მესხიშვილის, კოტე მესხის, კოტე ყიფიანის, ვალერიან გუნიას, შალვა დადიანისა და სხვათა გვერდით იზრდებოდა. მისი მრავალფეროვანი ნიჭი რუსული ლიტერატურისა და კლასიკური თეატრების საუკეთესო ნიმუშებს ეზიარა.

კ. მარჯანიშვილი იყო რეალისტი ხელოვანი, მას მტკიცედ სწამდა, რომ თეატრის თავი და თავი ცხოვრებისეული სინამდვილეა. „ჩვენთვის მთავარ როლს თამაშობს ავტორი და მისი სული, — წერდა იგი, — ის არის სცენის მბრძანებელი... თუ მე ჩავწვდებოდი ავტორის სულს, ავტორის პათოსს, გადავუხსნიდი მას აქტიორებს და შევძლებდი კოლექტიური შემოქმედებით გამომენახა ავტორის „სული“, მაყურებელთა წინაშე ჩემი ამოცანა შესრულებული იქნებოდა“. სწორედ ამიტომ იყო, რომ მის თეატრებთან ყოველთვის იკრიბებოდნენ მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელნი და დღეს თუ ჩვენ ვამაყობთ ქართველ დრამატურგთა ნაწარმოებებით, უმრავლესი მათგანი მარჯანიშვილის ახლო მონაწილეობით და წაქეზებითაა შექმნილი. ჭეშმარიტად კარგად თქვა მაქსიმ გორკიმ: ბედნიერია ქართული თეატრი, რომელსაც ხელმძღვანელად კოტე მარჯანიშვილი ჰყავსო.

უკანასკნელი წლები კ. მარჯანიშვილმა ქართულ თეატრში მუშაობასთან პარალელურად კვლავ რუსულ თეატრში გაატარა. 1930 წელს მოსკოვის ყოფ. „კორშის“ თეატრში წარმატებით დაიდგა იბსენის „მშენებელი სოლნესი“. სიკვდილის დღეებში იგი მოსკოვის მცირე თეატრში „დონ-კარლოსსა“ და მოსკოვის ოპერეტაში „ლამურას“ დგამდა, რომელთა გენერალურ რეპეტიციებს იგი ვერ მოესწრო.

ოპერის ბაღში, ზ. ფალიაშვილისა და ვ. სარაჯიშვილის საფლავებს გვერდით დგას ქვის ჯიხური, რომელშიც დიდი რეჟისორის ფერფლი განისვენებს, ხოლო თვით კოტე მარჯანიშვილი ცოცხლობს საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე თეატრალურ ხელოვნებაში, რომლის ჩამოყალიბებას და უმაღლეს მწვერვალზე აყვანას მან მთელი სიცოცხლე შესწირა.





46

„ჩაის საიდუმლოება"



მიხეილ დავითაშვილი

ტატიანა ჩხაიძე! საკმარისია მხოლოდ ამ სახელის წარმოთქმა. ყველა ქართველმა, რა პროფესიისაც არ უნდა იყოს, იცის, რომ ტატიანა ჩხაიძე მეჩაიე რეკორდსმენია, მუშაობს მახარაძის რაიონის სოფელ შრომაში.

ჩაის პლანტაციების ეს სახელოვანი მშრომელი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. იგი ამ დიდი დაფასების ღირსი ახლახან გახდა. ეს დაფასება იმ დიდი სიყვარულისა და პატივისცემის შედეგი იყო, რომლითაც ტატიანა ჩხაიძე მთელ ქართველ ხალხში სარგებლობს. სანდომიანი სახის, ჭკვიანი, ინიციატივიანი, ბეჯითი ქალი საბჭოთა პარლამენტში იმიტომ წარგზავნეს, რომ ჩვენს ქვეყანაში შრომა მოქალაქეთა მამაცობისა და გმირობის მთავარი საზომია.

საქართველოში ჩაი წამყვანი კულტურაა. ჩვენში ჩაის ფოთოლს ტყუილად კი არ უწოდეს „მწვანე ოქრო". სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მილიონობით მანეთ შემოსავალს იღებენ. საქართველოში ჩაის პლანტაციები ათობით ათას ჰექტარზეა გადაჭიმული, სადაც ათასობით მეჩაიე მუშაობს.

...ეს იყო ოცდაორი წლის წინათ, ივლისში. ტატიკომ (ასე ეძახიან ტატიანას შინაურობაში) სიმწიფის ატესტატი მოიტანა და მშობლებს გადაჭრით განუცხადა:

— კოლმეურნეობაში უნდა ვიმუშაო!

დედას სიხარულით გაუბრწყინდა თვალები, ქალიშვილი გვერდში ამომიდგებაო, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ძმამ — გიორგიმ ჩაფიქრების შემდეგ მოკლედ მოუჭრა:

— შენი საქმეა. გამრჯე მარჯვენა და ნათელი გონება სოფელში ძალიან გვჭირდება.

მაგრამ ყველანი ამ აზრისა როდი იყვნენ. გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც გაკვირვება ვერ დაეფარათ:

— ჩაში მუშაობისათვის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრება რა საჭირო იყო?

— განა არ აჯობებდა თბილისში ესწავლა?

— ინსტიტუტი მინდორზე გაცვალა?...

მაგრამ მათ როდი იცოდნენ, რომ ტატიანას ერთბაშად არ მიუღია თავისი გადაწყვეტილება. ჩითის კაბაში გამოწყობილი, მკვირცხლი, ფეხშიშველა გოგონა ხშირად უნახავთ თანასოფლელებს პლანტაციებში მეჩაიეთა გვერდით. გოგონა ყურადღებით ადევნებდა თვალს, თუ როგორ შრომობდნენ მისი დედა, მეზობლები. იგი არავის უშლიდა ხელს, პირიქით, რომელიმე მოზრდილთაგანი რომ ეტყოდა: აბა, ტატიკო, შენს გაზრდას, მიშველე, — ყოველთვის ხალისით ასრულებდა მათ დავალებას...

კოლმეურნეობაში მოიწვიეს ახალგაზრდების კრება, რომელზეც განიხილეს საკითხი — „ვინ უნდა გამოვიდე მე?" კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხაკო ორაგველიძემ გოგონებსა და ჭაბუკებს დაწვრილებით გააცნო კოლმეურნეობის შემდგომი განვითარების გეგმები.

თავმჯდომარე გატაცებით ლაპარაკობდა:

— ჩვენ ყველა დარგში გვჭირდება ისეთი ადამიანები, რომლებიც ძველ ყაიდაზე კი არ მუშაობენ, ძველ ანდაზას კი არ იმეორებენ: რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ დახევ მარმაშებსაო. არა! ახალი ადამიანების, იმ ახალგაზრდების წინაშე, რომლებიც საკოლმეურნეო წარმოებაში მოდიან, კეთილშობილური ამოცანაა დასახული — შეისწავლონ მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება, კრიტიკულად შეაფასონ ისინი, თავიანთ უბანში გაბედულად დანერგონ ყოველგვარი საუკეთესო და საქმე წინ წასწიონ...

ამ კრების შემდეგ ტატიანასთან ერთად ბევრმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა კოლმეურნეობაში დარჩენა.

რა თქმა უნდა, ცხოვრების გზა ლარივით სწორი როდია. ამ გზაზე ოღროჩოღრო ადგილებიც არის. მაგრამ სიძნელეთა გადალახვას ხელი როდი შეუშლია ტატიანასათვის ბავშვობის ოცნება განეხორციელებინა — მოწინავე მეჩაიე გამხდარიყო.

ტატიანა პლანტაციებში მუშაობასა და ჩაის კულტურის აგროწესების შესწავლას, სპეციალური ლიტერატურის კითხვას დიდ დროს ანდომებდა. პირველ ხანებში ჩაის ფოთოლს ისე კრეფდა, როგორც ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული — ჩაფიქრებულად, აუჩქარებლად. მაგრამ ახალგაზრდა მეჩაიე კარგად გრძნობდა, რომ „მწვანე ოქროს" შედარებით ნელა კრეფდა და სხვები უსწრებდნენ.

ტატიანას ერთი წუთითაც არ მოშორებია სურვილი, რომ მალე არა მარტო დასწეოდა მოწინავე მეჩაიეებს, არამედ მნიშვნელოვნად გაესწრო კიდეც მათთვის. საოჯახო საქმეებს მორჩებოდა თუ არა, ხშირად ავარჯიშებდა თითებს. მან იცოდა, რომ მოწინავე მეჩაიეები ფოთოლს ათივე თითით კრეფდნენ. ტატიანამ მტკიცედ გადაწყვიტა, მიებაძა ამ მოწინავეებისათვის.

გადიოდა წლები. ტატიანა ოსტატდებოდა, ეუფლებოდა ჩაის ფოთლის კრეფის ჩვევებს. 1947 წელს იგი უკვე ისე დაეუფლა ამ საქმეს, რომ მერგოლეობაც კი დააკისრეს. ტატიანა კარგი ორგანიზატორიც გამოდგა. გავიდა კიდევ ორი წელი და 1949 წელს ტატიანა ჩხაიძის სახელი მთელმა ქვეყანამ გაიგო: მან მოსავლელად მიჩენილ ნახევარ ჰექტარ პლანტაციაში 6.539 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ამ ბრწყინვალე გამარჯვებისათვის სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიანიჭეს.

ამდენი მწვანე ჩაის ფოთლის მოკრეფა ადვილი საქმე როდია: გამოანგარიშებულია, რომ ერთი კილოგრამი ჩაის ფოთლის მოსაკრეფად საჭიროა 2.500 ფოთლის მოწყვეტა.

მომდევნო წლებში ტატიანა სულ უფრო სრულყოფდა თავის ოსტატობას. 1961 წელს მან რეკორდი დაამყარა — თავის ნაკვეთზე 10.500 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა, რაც ჰექტარზე გაანგარიშებით 21.000 კილოგრამს აღემატება. მსოფლიოში ჯერ არავის მოუკრეფია ამდენი ფოთოლი, არავის მოუყვანია ამდენი მოსავალი. საკმარისია ითქვას, რომ მახარაძის რაიონში — მეჩაიეობის ამ მოწინავე კერაში — ჩაის ფოთლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 4.000 კილოგრამს არ აღემატება, ხოლო საქართველოში — საშუალოდ 3.200 კილოგრამს უდრის.

ჩაის ფოთლის უხვი მოსავალი მოჰყავს ტატიანა ჩხაიძის რგოლის ყველა წევრს. რგოლმა შარშან მოსავლელად მიჩენილი ოთხი ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 12.800 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა.

წელს, როგორც ტატიანა, ისე მისი რგოლის წევრები ცდილობენ შარშანდელ მაჩვენებლებს გადააჭარბონ. მათი დევიზია: დღეს გუშინდელზე უკეთესად იმუშაონ, ხვალ — დღევანდელზე უკეთესად. ამ დევიზის განხორციელებაში ტატიანა საუკეთესო მაგალითის მაჩვენებელია. მან 16 ივლისს, ორი თვით ადრე, შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

ტატიანა თავისი მაგალითით რაზმავს არა მარტო რგოლის მეჩაიეებს, არამედ კოლმეურნეობის ყველა ახალგაზრდა მეჩაიესაც. ტატიანას ინიციატივით სოფელ შრომაში ჩამოყალიბებულია მოწინავეთა გამოცდილების სკოლა, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობს და ახალბედა მეჩაიეებს სიამოვნებით უზიარებს მდიდარ გამოცდილებას.

ახალგაზრდა მეჩაიეებმა იმ სკოლას „ტატიანა ჩხაიძის უნივერსიტეტი" უწოდეს. ამ „უნივერსიტეტის" ამბავი იციან არა მარტო ტატიანას მშობლიური კოლმეურნეობის, არამედ მეზობელი კოლმეურნეობების წევრებმაც. თავისი მარდი ხელების „საიდუმლოება" სახელმოხვეჭილმა მკრეფავმა გააცნო მეზობელი კოლმეურნეობებისა დს რაიონების მრავალ მეჩაიეს, რომლებიც ხშირად იწვევენ მას გამოცდილების გასაზიარებლად.

აი რატომ იცნობენ ასე ფართოდ ნოვატორ-მეჩაიეს, აი რატომ არის, რომ ტატიანას სახელი ბევრი რამის მთქმელია.

როცა ტატიანა ჩხაიძეს ეკითხებიან, რაშია მისი წარმატების „საიდუმლოება", იგი მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებს:

— შრომის სიყვარულში!...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალი სასტუმრო „აფხაზეთი"



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბარბაცით მიჰყვება აღმართს... ეზოში ძლივს შეაქვს ტანი. კიბის მოაჯირს ხელებით ეყრდნობა, ქინდრავს თავს, უკანკალებს მუხლები. გამალებით უცემს გული. ეწვის რაღაც, შიგნით, გულსა და ჯიგარს შორის.

ქუჩაში ბავშვები თამაშობენ...

სახეპირმრგვალი, მდიდარი კინტოს შვილი ერთი ოტროველა ვინმე დამდგარა. ტოლები არ იკარებენ. მთელი დღე ბავშვებში ტრიალებს, „პაჟარას“ ეთამაშება, ცინცლავს ფულებს.

ნიკალას დაინახავს, მიწაზე დაყრილ ფულებს ხელით ხვეტავს. ბავშვებს აქეზებს, თავად სასცილოდ ემზადება...

— აუ, ნიკალა ლოთი! — უყვირიან ბავშვები, ნიკალასკენ მოდიან.

აწვალებდნენ ბავშვები ნიკალას. ნიკალა უენო იყო და ვერაფერს ეუბნებოდა, გულში კი ფიქრობდა:

„დამანებეთ თავი რა... ღმერთი არა გწამთ? დამანებეთ რა... ჩემი დარდიც მეყოფა“...

„ვინ დაგალევინა ნიკალა“... ყვიროდნენ ხოლმე ბავშვები და სატინის ხალათს კალთებში ეწეოდნენ.

ნიკალა შესცქეროდა მათ ამღვრეული და წყლიანი თვალებით, ყველაზე მეტად წყინდა „ვინ დაგალევინაო“ რომ ეუბნებოდნენ, ბრაზობდა გულში. „ვინ უნდა დამალევინოს, ვხატავ, ვმუშაობ, ფულს მაძლევენ და მეც ვსომ, სხვასაც ვალეინებ“.

კიბის უკან კარებთან ჩერდება.

დღეა თეთრი...

მიწა შავი...

მიწაზე საპნიანი წყლის გუბეები დგას.

აივანზე ქალი რეცხავს. ქაფადქცეულ წყალს ეზოში ღვრის. მიწა ისრუტავს წყალს. ზემოთ რჩება საპნის ბუშტები ძალიან თხელი და გამჭვირვალე. ცისარტყელას ფერები აქვს გამჭვირვალე საპნის ბუშტებს. მერე ბუშტები ქრება, ფერებიც ქრება, შავ მიწაზე რჩება ნაცრისფერი ლაქები... დღე კი თეთრია...

დღის სითეთრე არა ჰგავს არც ერთ სითეთრეს, ის არის დიდი, მოქცეული ზეცასა და მიწას შორის...

წვავს ნიკალას რაღაც შიგნით...

კარებს აღებს, ოთახში შედის. ოთახს კი არა, კუბოს გავს.

ჭერთან სარკმლის მაგვარი რაღაცაა, წვიმითა და ტალახით შეფერილი. იგი ძუნწია იმ მიკიტანივით, ნიკალას დუქნის კედლებს რომ ახატვინებს.

გარეთ არის დიდი სინათლე... გარეთ ბავშვების გნიასი ავსებს ქუჩას...

— ნიკალა! აუ, ნიკალა ლოთი!

ტახტზე მოწყვეტით ეშვება. ერთ ხანს ისევ აწვალებს ტკივილები, მერე თანდათან უყუჩდება. სიცხე აწვება თვალებში. სახეზე ოფლს ასხამს...

ნიკალას ეშინია ყველასი. არავის არ უნდა მისთვის კეთილი. კაცი ვერ უნახია ამხელა ქალაქში, გული რომ გაუხსნას, ვის ელაპარაკოს, ან ვინ გაუგებს?

თითო-ოროლა გამოჩნდებიან, ჭკვიანურად ლაპარაკობენ, სურათებს უქებენ, მერე სადღაც გადაიკარგებიან და ნიკალა ნატრულობს მათთან შეხვედრას...

მტვირთავები კარგი ხალხია, ამქრებიც... ალალი გული აქვთ. ნიკალა იმათთან სიამოვნებით სვამს, ნიკალა ჯიგარში ენაცვლება იმათ, მაგრამ გულს მაინც ვერ უხსნის, სულ ერთია, ვერ გაუგებენ. ისინი იცნობენ ნიკალა ლოთს, მაგრამ არ იციან რამხელა გული დევს ჩავარდნილ მკერდქვეშ.

სირაჯები ძულს... სირაჯს ფული აქვს ბევრი, ადამიანობისა კი არაფერი; განგებას რაც მიუცია, ისიც დაუკარგავს. სირაჯები ატყუებენ ნიკალას, ამუშავებენ, ფულს არ აძლევენ, მასხარად იგდებენ:

„რად გინდა ფული, მისი ყადრი მაინც არ იცი... აჰა არაყი“. დახატულ სურათში თლაშოი არაყს აძლევენ.

— ფული თქვენ გქონდეთ და მისი ყადრიც თქვენ იცოდეთ, მე არაყი მომეცით... სახატავად კედლები მომეცით... — და სვამს ნიკალა.

* * *

უთენია დგება. ეზოში გამოდის. ყლაპავს დილის ჰაერს. დილის ჰაერი ფილტვებს ფხანს, ხველებას იწყებს, მერე წყნარდება... ონკანთან მიდის, ცივი წყლით სახეს იგრილებს, ისველებს კეფას, ოთახში ბრუნდება და იქედან მომცრო ჩემოდანი გამოაქვს. ჩემოდანში ფუნჯები უწყვია, საღებავები, ჩემოდანს ახატია „ცილინდრიანი კაცი“.

სქელწარბა მეეზოვე ქუჩას გვის. სარწყავი გვერდზე მიუდგამს, ხელში უჭირავს გრძელტარიანი ცოცხი...

ნიკალა ესალმება მეეზოვეს და მიჰყვება ქუჩას...

მალაკნის ქუჩაზე ბაზრის წინ კინტოებს მოუყრიათ თავი. სოფლიდან ჩამოსული გლეხების მოტყუებას ცდილობენ.

ოთარ გობრონიძე დაიბადა 1932 წელს. 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტი. ოთარ გობრონიძის პირველი მოთხრობა „თეა“ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1959 წელს. აქედან მოყოლებული მისი მოთხრობები და ნარკვევები სისტემატურად იბეჭდება რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.


ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გამოსაცემად ამზადებს ახალგაზრდა მწერლის ნარკვევების კრებულს, ხოლო მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მიმდინარე სეზონში მაყურებელს უჩვენებს მის მიერ გასცენირებულ ნოველებს.

მერე ახლობლებს აფრთხილებს, ნიკალა ლოთს ნისიად არაფერი მისცენ...

ნიკალა უყურებს სარდაფის სარკმელს...

გარეთ ფერებია სხვადასხვა...

ღამე ეყრება დღეს...

დღე შემოდის მტრედის ფერებით. ფერებს ჰკვეთს ცეცხლოვანი რკალი. მეზურნე დილის საარს აკვნესებს...

მედოლე რუხებით უკრავს დოლს, დილის საარი ღამეს მისტირის. დღეს ალერსით ეგებება. ზურნა და დოლი ნიკალაზე მორფივით მოქმედებს, ამ ქვეყნიურს ყველაფერს ავიწყებს, სადღაც ზეცაშია თავის ფერებთან, დილის საარი ათრობს, არაყი კი არა სამი ბაში*) ანაშა**) რომ მოსწიოს, ისიც ვერ დაათრობს ასე.

სარდაფი თანდათან ივსება, შემოდიან ხელოსნები, მტვირთავები, მჭედლები. მოსამსახურე ბიჭს ოფლი ასკდება შუბლზე, ხან მუშტრის რისხვა ატყდება თავს, ხან კიდევ პატრონისა.

დილის საარი რომ დამთავრდება, ოთახს ნათელი ავსებს. გარეთ მეფდება თეთრი ფერი...

ნიკალა სმას იწყებს...

სარდაფში თევზეულითა და მწვანილეულით მოვაჭრე კინტოები შემოდიან, თან თევზისა და მწვანილის სუნი შემოაქვთ. ხონჩები დაუცლიათ, ახლა თითო ჭიქას დაცლიან, მერე ისევ სავაჭროდ გასწევენ, საღამოს მოგებას იანგარიშებენ და ორთაჭალის ძუძუგაფუებულ ლამაზმანებს დაერევიან...

— ვა, გეოჯან, ის კარგი რამე დაგიხატინებია აი, ჩემმა მზემ, — ეუბნება ერთ-ერთი სირაჯს.

— იმის ეშხით სხვა დუქანში წასვლა დამზარებია, — ამბობს მეორე. — იმ მარჯვენას გაუმარჯოს, რომელმა მარჯვენამაც ეგ სურათი დახატა, — ამბობს მესამე და არყით სავსე ჭიქას პირში აშრობს.

სირაჯი დუმს, გულში კი კარგი აზრი გაკრავს — თუ გარედან იმ სურათის ეშხით შემოდიან, შიგნით ისეთი სურათი უნდა იყოს, რომ იმის ეშხით გარეთ ველარ გავიდნენ.

დახლზე დაყრილ სპილენძის შაურიანებს ერთი ხელის მოსმით უჯრაში ყრის და ნიკალასაკენ მიდის.

— ნიკაჯან! — შორიდანვე ხელებს შლის, — როდის მოხვედი, ვერც კი დაგინახე, იმდენი მუშტარია, ჭკუა აგერევა.

— ჰა!... — ნიკალა მისჩერებია სირაჯს აღგზნებული თვალებით. სირაჯი პირდაპირ საქმეზე გადადის.

— სურათი უნდა დამიხატო!

— ჰო!..

— აი იმ კედელზე!

— ჰო!..

— ისეთი უნდა იყოს, მის დანახვაზე მუშტარი სმის იშტაზე მოდიოდეს!

— ჰო!.. ყველაფერზე თავს უქნევს, ფასს არც ეკითხება, ჩემოდანს იღებს და სამუშაო სამზადისს იწყებს. ჩემოდნიდან ფუნჯები ამოაქვს, საღებავები...

სირაჯი ბიჭს უხმობს.

**ოთარ გობრონიძე**

მხატვარი თ. სამსონაძე.



მალაკნებს ფურგონები მიუყენებიათ ბაზრის კარებთან, რძითა და მზესუმზირის ზეთით სავსე კასრებს დაბლა ეზიდებიან.

ღვინის სარდაფთან ჩერდება ნიკალა: ჩასასვლელთან თხელი თუნუქია გაკრული. თუნუქზე თავმოკუპრული მორჩილი ტიკჭორა, სინით ხილი, ჭორფლიანი „ცოცხალი“, დედის პურები, ღვინით სავსე ყანწები, შამფურზე წამოგებული მცვრიანი მწვადები, მრგვალად მოხარშული დედალი, მარილი, დოქი და ორი ბოთლი ხატია. სულ ერთი თუნგი არყის ფასად დაუხატა ნიკალამ სირაჯს ეს ნატურმორტი.

კიბეებს დაბლა მიჰყვება. სირაჯი ხედავს და თვალს არიდებს, ძალად გაჯავრებული ყვირის: — ბიჭო!... ბიჭო! სად დაიკარგე შე მამაძაღლო!...

ბიჭი თავქუდმოგლეჯილი შემორბის გარედან, შარვლის შესკვნა ვერ მოუსწრია, გზადაგზა ისწორებს.

— ეს არაყი ამქრებს მიუტანე, გესმის!—არყიან თუნგს ხელში აჩეჩებს, თან მზერას აპარებს ნიკალასაკენ.

ნიკალა კუთხეში, ცარიელ მაგიდასთან ზის, ნიდაყვებით მაგიდას დაყრდნობია, სადღაც სივრცეში იყურება.

— რას დამსგავსებია, დღითი დღე გლახდება ეგ საცოდავი. — ფიქრობს სირაჯი,

— არაყი მოუტა, როცა გაათავებს, კიდევ მოუტა... ეგრეა. — როცა სვამს, უკეთესად ხატავს...

* * *

კედლებს ღრუბლები აწვება...

ნიკალა სვამს.

კედელზე ბალახი ამოდის, ბალახს თეთრი ცხენი ძოვს...

ნიკალა სვამს.

გველივით მოიკლაკნება ვერცხლისფერი მდინარე, შორს მოჩანს ძველი ციხე და ტოტებგაშლილი მუხა...

ნიკალა სვამს. მარჯვენა ხელი უკანკალებს, მარცხენათი აკავებს მარჯვენას, მარჯვენაში უჭირავს ფუნჯი.

---

*) თამბაქოს საზომი.

**) თურქული თამბაქო — ნარკოზული.

ლ. გუდიაშვილი.
„ფიროსმანის სიკვდილი“.

მდელოზე სუფრაა გაშლილი. ნიკალას პური უყვარს, მარილიც. პურსა და მარილს ერთმანეთს არ აშორებს.

ნიკალა სვამს.

სუფრა ივსება ხორაგით, შუშა-კიტრები, თეთრწვერა წითელი ბოლოკი. მდინარის გაღმა საქონელი წყალს მოდგომია...

სარდაფში ნიკალაა მარტო. სარკმლიდან აღარ შემოდის დღის ნათელი, დღის ნათელი სარდაფის კედელზეა. სარდაფში ნავთის ორი ლამფა ღრჩოლავს.

ნიკალას ხელები უკანკალებს, ეწვის რაღაც გულსა და ჯიგარს შორის, ასე ძალიან არასოდეს ასწვია. მაინც ხატავს და... მაინც სვამს...

მხატვრის ჩემოდანს ახატია „ცილინდრიანი კაცი"...

* * *

სარდაფში პირველად მოდის მოსამსახურე ბიჭი და მაგიდებს აწყობს. მერე მოდის სირაჯი, ცოტა შეცივებული, ცხვირი ლილასავით აქვს გალურჯებული, ხელებს იფშვნიტავს, ქონიან მხრებს ათამაშებს.

ნიკალა არ უყურებს სირაჯს, იგი სკამზე ზის და მისჩერებია სარდაფის სარკმელს.

გარეთ შავი ფერი თანდათან ლურჯდება, მერე ლურჯი კარგავს სილურჯეს...

— ყველაფერი მამწონს, ოღონდ აქ, ამ ადგილას მთვარე უნდა დამიხატო! — ამბობს სირაჯი, სქელ ტუჩებს დორბლი უსველებს.

ნიკალას სურათზე გადააქვს მზერა... სურათს სულ არ აკლია მთვარე.

— არ უნდა მთვარე!...

— ვა, როგორ არ უნდა! მთვარე მეტ ეშხს მიცემს, რა ჯობია მთვარიანზე პურის ჭამას.

— არ უნდა მთვარე...

— ვა, კაცო, როგორც გეუბნები, ისე გააკეთე, მე მაგ სურათის დახატვაში... — უცებ ახსენდება, რომ არაფერს აძლევს. — არა მაინც რატომ არ უნდა, მითხარი.

ნიკალა უყურებს სირაჯს, მერე უყურებს ნახატს, კარგახანს უყურებს და სირაჯს ეუბნება:

— არ უნდა მთვარე!...

— ჯანდაბას შენი თავი! — ბრაზდება სირაჯი. — ერთი თუნგი არაყი დალიე და ერთიც სხვას დაალევინე, გაგზავნილ თუნგს მჟავე კიტრი და მწვანილიც გავაყოლე, სულ მანეთი და ორი აბაზი, აჰა, ეს სამი აბაზი-ღა გერგება.

ნიკალას ეცოდება სირაჯი...

— არაყი მომიტანე!

— ვა, კიდევ?!... გეყოფა ნიკალ, მეტი მოგივა!

— მომიტანე!

სირაჯი თვალს ვერ უსწორებს ნიკალას ამღვრეულ თვალებს. — რა ცუდი ცქერა იცის ამ ლოთმა, ამანა, — ფიქრობს გულში, თან ბიჭს უხმობს, ნიკალა ლოთს არაყი მოუტანოს.

ისევ ეყრება ღამე დღეს...

მეზურნე დილის საარს აკვნესებს...

მედოლე რუხებით უკრავს დოლს...

ნიკალა სვამს...

სარდაფის სარკმელში იჭრებიან უცნობი ფერები...

* * *

ისევ კუბოსავით პატარა ოთახი კიბის ქვეშ.

სამი დღის წინ „მუშა სოსომ" მოიყვანა გრძნობადაკარგული და ტახტზე დადო, მერე სოსო წავიდა საქმეზე, თავის საქმე ჰქონდა სოსოს, ოჯახში მშიერი ცოლ-შვილი ელოდებოდა.

აღარავის გახსენებია ნიკალას არსებობა. დღეს მესამე დღეა... ნიკალა წევს სარდაფის ცივ მიწაზე ტახტსა და მაგიდას შორის, ნიკალა ტკივილადაა გადაქცეული... აწუხებს თმა თავის ქალაზე, სახეზე წვერი, ტანზე ტანსაცმელი, კბილები.

თითებით ებღაუჭება მიწას... წამოიწევს, იდაყვს ეყრდნობა... გატეხილ სარკმელში იღვრება სინათლე. სინათლე ავსებს ოთახს, ოთახი იზრდება, სიგრძე და სიგანე ემატება, ახლა ის არის უზარმაზარი თეთრი დარბაზი, თეთრ დარბაზში ნიკალა დგას და თეთრ კედლებს შავი ზოლებით ხაზავს. მოპრიალებულ იატაკზე ყრია ბევრი კირი და მჭვარტლი. ნიკალა სრისავს კირს... აზავებს ჭვარტლს...

ამხელა დარბაზი...

ამდენი ფუნჯები...

მუშამბები...

ოთახი ივსება ფერებით. ნიკალა ირჩევს — „ეს რა ფერია... წითელი... ეს წითელი არა, არც ის, განა ყველა წითელი წითელია?

— წითელი წითელია, — ისმის სირაჯის ხმა.

— წითელი წითელი როგორ არის, ათასი წითელია... ათი ათასი.

— ნიკალ, შენ სულ გაგიჟდი აი ჩემმა მზემ, მოდი ერთიც ხუხე, უკეთესად იმუშავებ — ისევ ესმის სირაჯის ხმა.

ნიკალა სვამს...

ფერები მოდიან განუწყვეტლივ, ნიკალა ათასში ერთს ირჩევს და მუშამბაზე გადააქვს... კედლებს ფარავს მზა სურათები. სურათებს კიდებენ შეგირდები. თამარ მეფე... შოთა რუსთაველი... წმინდა გიორგი... შეგირდებმა თავისი საქმე იციან, ისინი უსიტყვოდ იგებენ მხატვრის ყველა სურვილს.

ლომები... ჟირაფები... ნიამორები...

კახეთში დაბადებულმა პირველად კახეთის მიწის და ჰაერის სურნელი იგრძნო. თვალგახელილმა მისი მშვენიერი ბუნება დაინახა.

შეგირდებმა იციან, ნიკალას ძალიან უყვარს მშობელი მხარე. წინა კედელზე კიდებენ: რთველი კახეთში... კალო კახეთში...

მერე ყველაფერს ფარავს ქალი...

ოთახში შემოდის მარგარიტა, მკერდსავსე და შავთვალწარბა, თმაც შავი აქვს მარგარიტას, მოკლე „პლისე" კაბა აცვია და ზოლიანი წინდები, ხელში ყვავილების თაიგული უჭირავს, მხარზე მერცხალი აზის... მღერის მარგარიტა. მერცხალიც მღერის მის მხარზე.

ნიკალა უსმენს...

უზარმაზარი დარბაზი ცარიელია, აღარც სურათებია, არც შეგირდები. მარგარიტა დგას დარბაზის კუთხეში... ნიკალა მისკენ მიდის, მარგარიტას ხელები აქვს გამოწვდილი... მღერის, მერცხალი მღერის მის მხარზე... ფერებით ივსება დარბაზი. ერთმანეთში ირევიან მუქი ფერები, ნათელ ფერს მუქი ჩაგრავს, მუქი ფერი ნიკალასა და მარგარიტას შორის დგება.

— არ მინდა, ეს რა ფერია, შავი? არ მინდა ამდენი შავი — შავი ფერი ყველაფერს ფარავს, ნიკალას თავზე დატრიალებს, ტანზე ეკვრის.

ნიკალა ხელებს იქნევს... ხელებს უკავებს შავი ფერი...

სხეულით ბორგავს. სხეულს უდუნებს შავი ფერი, ყელზე ეხვევა და სამუდამოდ მასთან რჩება.

ბნელ სარდაფში, ტახტთან ახლოს მხატვრის პატარა შავი ჩემოდანი დგას, მის ერთ გვერდს ნათელი ფერებით ახატია „ცილინდრიანი კაცი".

* * *

— სმა მინდა, ღვინო ყელში არ გადადის, — ამბობს მჭედელი პეტა და ვეებერთელა ხელებში სასმისს უხერხულად ატრიალებს.

— მუქი დღეა, გულს კაეშანი ავსებს, — გაბო დალაქი უმადური უყურებს ცას.

მწვანეზე სხედან... სუფრას პურ-მარილი ავსებს... მტკვარიც აქვეა...

არ არის ის, ვის ყოფნასაც ვერასოდეს ვერ ამჩნევდნენ.

— ალავერდი! — მჭედელი დაცლილ სასმისს სუფრის ბოლოს აწოდებს.

— ნიკალ!.. ნიკალა სად არის?

— ნიკალა?!

— მგონი აქ იყო...

— ნიკალა!..

ნიკალა სამი დღეა არავის უნახავს.

უღიმღამო სუფრა იშლება. გიჟი ცხენები ეტლს „გოლოვინსკზე" მიაქანებს. სოზალიშვილის სარდაფთან ჩერდება.

— გეო, ნიკალა არ ყოფილა?

— ნიკალა?!

— სამი დღეა, თვალით არ დამინახავს.

მიქრიან გიჟი ცხენები. „პუშკინსკზე", „სიმპატიაში" არ არის ნიკალა.

ნიკალა პურ-მარილის ეშხია. ნიკალა ალალი ხალხის ჯიგარია.

— სტეპკო, ნიკალა არ გინახავს?

სტეპკუა დანებს ლესავს, ჩარხს ატრიალებს, ცეცხლის ნაპერწკლებს ფანტავს.

სტეპკუას სამი დღეა ნიკალა არ უნახავს.

მიქრიან გიჟი ცხენები.

— ნიკალა!...

ეტლის ბორბლები ქვაფენილზე მირახრახებენ.

ნი... კა... ლა!..

თავდება ქალაქი.

ჩერდება ეტლი.

სამი დღეა, ნიკალა არავის უნახავს.

სად გაქრა ეს კაცი!...



# საინტერესო წიგნი




ახლახან გამოვიდა მწერლისა და მეცნიერის, აკაკი გაწერელიას „რჩეული ნაწერების" I ტომი. წიგნში მოთავსებულია ავტორის მიერ 1932-1961 წლებში გამოქვეყნებული ნარკვევები, სხვადასხვა ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი, აგრეთვე მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვანთა პორტრეტები.

ტომში დაბეჭდილი ნარკვევები შედგება განყოფილებებისაგან: „ლიტერატურული მემკვიდრეობა" („საქართველო", „რუსეთი და უცხოეთი", „თანამედროვენი" და „თეორიული საკითხები"). მკითხველს საშუალება ეძლევა ხელახლა გაეცნოს ავტორის გამოკვლევებს და წერილებს რუსთაველისა და საბას, ნ. ბარათაშვილის, პ. იოსელიანის, დ. კლდიაშვილისა, ბარნოვის, სტენდალის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჩეხოვის და ა. ბელის შესახებ. თანამედროვეთაგან წიგნში განხილულია გ. ტაბიძისა და ა. აბაშელის, ი. ტინიანოვისა და ე. ჰემინგუეის, კ. გამსახურდიასა და რემარკის პოეტური და პროზაული ნაწარმოებები. „თეორიული საკითხების" სერიაში პირველადაა გამოქვეყნებული დიდი სტატია: „პოეტური ტრადიციების შესახებ".

აკაკი გაწერელიას ნარკვევებს ახასიათებს ანალიზის სიღრმე და სტილის მაღალი კულტურა. ბევრი მათგანი სამუდამოდ დარჩება ქართული მხატვრული აზროვნების საუცხოო ნიმუშებად ჩვენს ლიტერატურმცოდნეობაში.

უაღრესად მრავალფეროვანია განყოფილება „ლიტერატურული და ისტორიული ძიებანი".

აქ თავმოყრილია გამოკვლევები — ზოგი მცირე, ზოგი დიდი მოცულობისა — და თვითეული შეიცავს აქამდე სრულიად უცნობ ფაქტებს. აკაკი გაწერელიამ პირველად გახადა ცნობილი ქართველი მკითხველისათვის ჰენდელის ოპერა „რადამისტო"-ს ქართული სიუჟეტი, დედოფალ თამარის (რუსუდანის ასულის, „გურჯი-ხათუნის") მეგობრობა ირანის უდიდეს პოეტ ჯელალ ედ-დინ რუმთან, ლეონარდო და ვინჩისა და სულხან-საბა ორბელიანის ორი არაკის ერთი და იგივე სიუჟეტი და წყარო, ვახტანგ VI-ის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობის ზოგიერთი მომენტი, ნ. ბარათაშვილის პირველი წერილი გრ. ორბელიანისადმი და სხვა. ამ განყოფილებაში პირველადაა დაბეჭდილი ნარკვევი „ტოლსტოის ერთი გამოუქვეყნებელი ბარათის გამო", რომელიც წარმოადგენს გენიალური რუსი მწერლის პატარა წერილის პუბლიკაციას ი. ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით. ამ მოკლე ანოტაციიდანაც ჩანს, თუ რამდენ მდიდარ მასალას შეიცავს ტომის ეს ნაწილი.

დასასრულ, წიგნში დაბეჭდილია პორტრეტები, მოგონებანი ჩვენი მეცნიერების, პოეტებისა და მწერლების შესახებ.

გეგმის თანახმად შემდეგ წიგნში მოთავსებული იქნება აკ. გაწერელიას მონოგრაფიები გრ. ორბელიანის, ნიკ. ბარათაშვილის და ვაჟა-ფშაველას შესახებ, აგრეთვე მონუმენტალური გამოკვლევა „ქართული კლასიკური ლექსი" (1953), რომელიც ერთბაშად აღიარა ჩვენმა კრიტიკამ საეტაპო ნაწარმოებად ქართული პოეტიკის კვლევის ისტორიაში. ამ შრომისათვის 1953 წელს ავტორს მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. მონოგრაფიას დადებითად გამოეხმაურნენ რუსულ პრესაში (მაგ. „დრუჟბა ნაროდოვ") და უცხოეთშიაც.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვილაპარაკოთ გულახდილად



(ჟურნალისტის ბლოკნოტიდან)

როგორც იქნა მიიწურა ზაფხული. სიცხე შემოდგომის გრილმა დღეებმა შეცვალა. კურორტებსა და აგარაკებზე დასვენებული ადამიანები განახლებული ძალითა და ენერგიით დაუბრუნდნენ საყვარელ საქმეს. მრავალი კარგი რამ მოაგონდებათ შვებულებით გატარებული დღეებიდან, მაგრამ ზოგი რამ ალბათ ხინჯადაც გამოჰყვათ და ეს აშფოთებთ მათ.

ჩვენც სწორედ ამ ხინჯზე გვინდა ვისაუბროთ, ვისაუბროთ გულახდილად, რადგან ეს ფიქრი და გულისტკივილი ეხება მთელ ჩვენს საზოგადოებას, თვითეულ ჩვენგანს.

დავიწყოთ თუნდაც იმავე აგარაკებიდან.

ცნობილია, რომ ომისშემდგომ წლებში საცხოვრებელი ბინების მშენებლობისათვის მოსახლეობის სახსრების მიზიდვის მიზნით ყოველნაირად ეწყობოდა ხელი საკუთარი აგარაკების მშენებლობასაც. აგარაკებიც შენდებოდა საფუძვლიანად, ორ-ორ სართულად. ისინი ალბათ კომუნიზმამდე მიაღწევენ. მაგრამ ამ აგარაკების ზოგიერთი პატრონი და მისი მემკვიდრენი არცთუ მაინცდამაინც სასურველი პიროვნებები იქნებიან ჩვენი მომავალი საზოგადოებისათვის.

ამ ზაფხულს შემთხვევით შევხვდი ერთ ასეთ მეპატრონეს. ერთი რიგითი მუშაკი იყო საშუალო მოსამსახურის ხელფასით. უზარმაზარი ორსართულიანი აგარაკი წამოეჭიმა, ჰქონდა მანქანა და თან ყოველთვიურად კარგა დიდ თანხას უხდიდა სტუდენტ შვილს. როცა მის ვაჟს ვკითხე, როგორ შეიძლება ასე ხელგაშლილად ცხოვრება, როცა თქვენს ოჯახში მამაშენის გარდა არავინ მუშაობს-მეთქი, მან ზანტად გამოიღო პირიდან პაპიროსი და განმიმარტა:

— მამაჩემი ფხიანი კაცია, ცხოვრების უნარი აქვს.

რაც მართალია, მართალია. მამამისს მართლაც აქვს ცხოვრების უნარი... გარკვეულ დრომდე (სხვათა შორის ამ ერთი თვის წინ დააპატიმრეს), მაგრამ აი, შვილს არა აქვს უნარი და არც სურს იცხოვროს ისე, როგორც ეს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს, საბჭოთა ახალგაზრდას შეეფერება.

შეხვდებით ასეთ ყმაწვილ კაცს, რომელიც დარდიმანდულად ფანტავს „ფხიანობით" გასქელებული მამის ფულებს, და გაოცდებით მისი აწყვეტილი ცინიზმით.

თურმე ნუ იტყვით და ამ ვაჟბატონს თვალში როდი მოსდის ჩვენი ცხოვრება, როდი მოსწონს ის, რომ კეთილი ყოფისათვის საჭიროა თავდადებული, ერთგული შრომა, დაუოკებელი ლტოლვა ხვალისაკენ და დიდი, უაღრესად დიდი კულტურა. მზამზარეულს დაჩვეული ეს უმწიფარი მუქთახორა ცხოვრებისაგანაც მოითხოვს უზრუნველ, უმაქნისო არსებობას და წუწუნებს, იმრიზება, თუკი გზაზე ფეხით გადასაბრუნებელი კენჭი დახვდება.

ავიღოთ კიდევ ერთი რამ: ახლა თითქმის აღარ არსებობს პერსონალური მანქანები. მომავალში მსუბუქი მანქანები ჩვენში კიდევ უფრო რაციონალურად იქნება გამოყენებული. ბევრად უფრო ხელსაყრელი იქნება მათი მოხმარება საპროკატო გარაჟების, ტაქს-მოტორებისა და სხვათა მეოხებით. ეს სამართლიანი გადაწყვეტაა, და მაშინ ბევრი დაფიქრდება იმაზე, თუ რატომაა, რომ, ვთქვათ, საწარმოოს ხელმძღვანელი ელოდება მორიგ მანქანას, ან უბრალოდ, ტროლეიბუსით მიემგზავრება, ხოლო მას საკუთარი „ვოლგით" გვერდით ჩაუქროლებს ის, ვისაც შეიძლება გამვლელსაც დაასახიჩრებს სწორედ ეს ცხვირმოუხოცავი ყმაწვილი, რომელსაც წარმოდგენაც არა აქვს, საიდან იშოვა მამამისმა საამისო ფული.

არაფერია იმაში ცუდი, თუ ახალგაზრდა მეშახტე, კოლმეურნე ან მწერალი თავისი შრომითი დანაზოგით იყიდის „მოსკვიჩს" ან თუნდაც „ვოლგას". ამის გამო მას არ შეეცვლება არც ფსიქოლოგია, არც შრომისადმი დამოკიდებულება. მაგრამ აი ასეთი ახალგაზრდა, რომელიც ბავშვობიდანვე შეეჩვია სხვისი ნაოფლარით, ზოგჯერ კი, რა დასამალავია, ნაქურდალით ცხოვრებას, ასეთი ახალგაზრდა არ შეიძლება ჩვენი საზოგადოებისათვის სასარგებლო პიროვნებად გაიზარდოს.

თვითეულმა ჩვენთაგანმა კარგად იცის, როგორ ხრწნის და ავეღურებს კერძო საკუთრება ადამიანებს. ამ მხრივ ჩვენ განსაკუთრებით გვაღელვებს ბავშვების ბედი, რომლებმაც უკვე გადააბიჯეს სიყრმის მიჯნას და საკმაოდ კარგად ერკვევიან თუ საიდან იღებენ „პურსა ჩვენი არსებისა". მომავლის როგორი მოქალაქე უნდა გაიზარდოს იმ მტაცებლის ოჯახში, რომელიც დღემდე მხილებული არ არის და წლების განმავლობაში მიტაცებულ ქონებას უძრავ საკუთრებად ან თავისი ნაშიერისათვის ძვირფას საჩუქრად აქცევს?

განა არ ვიცნობთ კერძო აგარაკების, მანქანების, ან სხვათა ზოგიერთ მეპატრონეს, რომელიც დღენიადაგ უნერგავს თავის შვილებს, რომ ისინი მისი მემკვიდრეები, ამ აგარაკის, ამ მანქანის მომავალი მეპატრონენი არიან, რომ სხვა ბიჭუნები და გოგონები, მათ შორის მათი ამხანაგებიც, სულაც არ არიან მათი შესაფერი, რადგან იმ ბიჭუნებს და გოგონებს არა აქვთ საკუთარი აგარაკები, მანქანები, ვაშლისა და ალუბლის ხეები.

დროა რევოლუციიდან ორმოცდახუთი წლის გავლის შემდეგ ხელი მოვკიდოთ ამ მუწუკების ამოძირკვას!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაც „მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ" ამ აუცილებელი ოპერაციის მეტად დროული დაწყებაა.

აქ საქმე მასშტაბში როდია. საქმე საკითხის პრინციპულად დაყენებაშია. ნუ ვიქნებით მიამიტნი — ასეთი რამ პატიოსანი გზით არ კეთდება. არ შეიძლება ასეთ მესაკუთრეს ხელი არ ჰქონდეს ჩაყოფილი ჩვენს სოციალისტურ ჯიბეში.

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა გვაქვს ისეთი აგარაკები, რომლებსაც სახელმწიფო აქირავებს, ან, ვთქვათ, ისეთი სააგარაკო დაბები, როგორიც ბულგარეთში კურორტ ვარნას ახლოა გაშენებული. ზღვის პირას ტყეში განლაგებულია ორ-ოროთახიანი პაწაწა სააგარაკო სახლები. მათ მთელი ზაფხულით ან თვიურად ქირაობენ ადამიანები, რომლებსაც აქ დასვენება სურთ. განა ჩვენ არ შეგვიძლია ავაგოთ ასეთი სახლები წყნეთში, მანგლისში, კოჯორში, ჩვენი ლამაზი ქვეყნის ყველა თვალწარმტაც კუთხეში?

ახლა ჩვენში ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ ჩვენმა ადამიანებმა კარგად და კულტურულად დაისვენონ. შენდება ახალი სანატორიუმები, პანსიონატები, სასტუმროები, მაგრამ ასეთი უბრალო, კოპწია სახლებიც ბევრს მოუვიდოდა თვალში. ან რატომ არ უნდა მოგვარდეს ჩვენში პატარა მოძრავი სახლების გამოშვება, რომლებსაც მანქანით მიიტანთ იქ, სადაც მოგესურვებათ?

მრავალი გზის გამონახვა შეიძლება ადამიანთა უკეთ დასვენებისათვის. მხოლოდ ეს ისე უნდა მოეწყოს, რომ



მე ვიცნობ ერთ ახალგაზრდა კაცს, რომლის შეგნებაში ღრმადაა ჩამჯდარი ცნება მემკვიდრეობაზე, როგორც მისი შრომისგან დამოუკიდებელ მომავალ უზრუნველ ცხოვრებაზე. რა კეთილშობილური საქმეებით განაცვიფრებს იგი ქვეყანას?

რა თქმა უნდა, არიან გამონაკლისებიც, მაგრამ ლოგიკა და ცხოვრების გამოცდილება გვიკარნახებს, რომ უძრავი საკუთრება აშკარად უშლის ხელს მომავალი კომუნისტური საზოგადოების ახალგაზრდა მოქალაქის აღზრდას.

ბევრჯერ დაწერილა გაზეთებში, ბევრჯერ გამოთქმულა კიდეც აზრი იმის შესახებ, რომ სრულიად კანონიერად უნდა გადაიქცეს კოლექტივის შეკითხვა თვითეული მისი წევრისადმი — საიდან აქვს მას თანხა ამ უძრავი ქონების შესაძენად, ვეებერთელა აგარაკის ასაშენებლად ან მანქანის შესასყიდად, თუკი მისი ხელფასი ამის საშუალებას არ იძლევა? სამწუხაროდ, არათუ კოლექტივი, ზოგიერთი პასუხისმგებელი ამხანაგიც ვერ იჩენს საჭირო სიმტკიცეს, გამჭრიახობასა და პრინციპულობას და ამის წყალობით ჩნდება ჩვენს მიწაზე საკუთარი ეზო-დარბაზები, ბაღ-ბოსტნით, გარაჟით, ღორქათმითა და ჯაჭვით დაბმული ნაგაზით.

ჩაუვლი გვერდით ასეთ კარმიდამოს, იფიქრებ, ალბათ მის პატრონს რაიმე დამსახურება მიუძღვის ქვეყნის წინაშე. ასეთი ადამიანისათვის არაფერია დასანანი. მაგრამ როცა გაიგებ, რომ ეს მამული ვილაც კომერსანტის საკუთრებაა, ბოღმა მოგაწვება გულზე და იტყვი:

უძრავი საკუთრება არ გადაიქცეს ყიდვა-გაყიდვის საგნად, არ აღვიძებდეს მედუქნისა და ქორვაჭრის ინსტიქტებს.

ჩვენი ცხოვრება გრანდიოზული მშენებლობაა. ეს არის დიადი ბრძოლა ბედნიერების, მშვიდობისა და ადამიანთა ნათელი ცხოვრების დამკვიდრებისათვის დედამიწაზე და ამ ბრძოლაში გადაჭრით უნდა მოვიშოროთ თავიდან ყოველგვარი ბალასტი, რომელიც ხელს უშლის ჩვენს წინსვლასა და გამარჯვებას.

ა. კუხრაშვილი.

მხატვარი ლ. ბერაძე





# ისინი ორნი არიან

ყრუდ გუგუნებს ჩვენი დედაქალაქი. ქუჩები სავსეა ხმაურით, ხალხით, მანქანებით. გვიანი შემოდგომის მზითა და სურნელით.

მაგრამ ეს ახალგაზრდები ვერ ამჩნევენ ვერაფერს, გარდა ერთმანეთის ბედნიერი, სიცოცხლითა და სიყვარულით გაბრწყინებული თვალებისა.

ისინი ორნი არიან. ორნი მთელს დედამიწის ზურგზე და ეს სიახლოვე, ეს ხმა და ღიმილი ყველაზე უფრო უსაზღვრო და ამაღელვებელი სამყაროა მათთვის. ისინი ორნი არიან, და ახლა, ვიდრე ოდესმე, სწყურიათ წინსვლა, მოქმედება. რაღაც დიდისა და არაჩვეულებრივის გაკეთება.

ვინ იცის რაზე ოცნებობს მტკვრის პირას ჩამომჯდარი ეს წყვილი. განა ამის მიხვედრა ძნელია? რაზეც არ უნდა ფიქრობდნენ. ერთი რამ უტყუარია — ისინი მთელი თავიანთი არსებით, მთელი ჭაბუკური ძალითა და გატაცებით ილტვიან მომავლისაკენ, ხვალინდელი დღისაკენ. მათთვის აღარ არსებობს „გუშინ"; აღარ არსებობს „იყო" — როცა უყვართ, უკან არ იხედებიან.

ისინი მტკიცედ დგანან მიწაზე. მათი მერმისი მძლავრადაა დადუღაბებული იმ ურყევ ბალავარზე, რომელიც ტანჯვისა და ბრძოლის ქარცეცხლში ჩაყარეს მათმა პაპებმა და მამებმა — ჩვენი ცხოვრების პირველმა შაშხანიანმა პიონერებმა.

ისინი ორნი არიან და მათთვის მთელი ეს აწმყო და მომავალი თვალისმომჭრელად გაჩირაღდნებულ ვეებერთელა ჯადოქრულ ლამპარადაა გადაქცეული...

ჩაუქრობელ ლამპარად...

* * *

— მოქალაქე X, თანახმა ხართ იქორწინოთ მოქალაქე Y-თან?

ეს მშრალი, ოფიციალური ფრაზა დღეში რამდენჯერმე გაისმის დედაქალაქის თვითეული მმაჩის ბიუროში. და მის საპასუხოდ წყნარად ჟღერს ორი ხმა — ერთი მტკიცე, შეკავებული სიხარულით ალსავსე, მეორე ოდნავ შეკრთალი, მღელვარე და მაინც ბედნიერი:

— დიახ, თანახმა ვარ!..

ამ სიტყვებით იწყება ორი ადამიანის ერთი საერთო, ჭირითა და ლხინით სავსე გზა. ამ სიტყვებით დაიწყო ახალგაზრდა მუშების იზოლდა გვარამაძისა და თენგიზ ჯოხაძის თანაცხოვრებაც.

მათ ერთმანეთი საკონდიტრო კომბინატში გაიცნეს. სიროპის საამქროში, სადაც ახლა თენგიზი მუშაობს, დარცხვენილი შავთვალა გოგონა შემოიყვანეს. გოგონამ სწრაფად აუღო საქმეს ალღო. მაგრამ ერთხელ მის მანქანას რაღაც დაემართა. გოგონამ ვერაფერი მოუხერხა, კინაღამ იტირა. თენგიზი მივიდა. მანქანა აამუშავა. გოგონას იზოლდა ერქვა და საოცრად ნათელი, მომხიბვლელი ღიმილი ჰქონდა.

ერთი კვირის შემდეგ თენგიზმა იგი კინოში დაპატიჟა. იმ დღეს ისინი ზედიზედ სამი სეანსი ისხდნენ დარბაზში...

ქორწინების შემდეგ ახალგაზრდები ქმრის მშობლებთან დასახლდნენ. ისინი აქ ცოტახანს კიდევ იცხოვრებენ, მერე კი საკუთარ ბინასაც მიიღებენ იმ სახლში, რომელსაც კომბინატი აშენებს, და ნელ-ნელა შეუდგებიან ოჯახის მოწყობას.

იზოლდას ძალიან უყვარს კინო. თენგიზსაც უყვარს, და არ არის ისეთი ფილმი, რომელიც მათ ნახული არ ჰქონდეთ. უფრო კი ქუჩებში სეირნობა უყვართ, საღამოობით, ნაწვიმარზე, როცა ასფალტი მრავალფერად ელავს ქალაქის სინათლეების ანარეკლით და ჩუმად, ძლივს გასაგონად ჩურჩულებენ მთვლემარე ჭადრები. მაშინ თითქოს უფრო სავსე ხარ სიყვარულით, უფრო ახლო გრძნობ მეგობრის მხარსაც.

მერე ხელიხელჩაკიდებულნი სირბილით ბრუნდებიან შინ, სადაც მათ მოუთმენლად ელის დედა, გემრიელი ვახშამი და წიგნები, ნახაზები, წიგნები...

თენგიზს უმაღლესში დაუსწრებელ ფაკულტეტზე სურს მოეწყოს, იზოლდასაც დიდი სურვილი აქვს სწავლის განგრძობისა და ახალგაზრდა ცოლქმარს მუშაობის შემდეგ წიგნების კითხვა ურყევ ჩვეულებად ექცათ.

კომბინატში მათ კარგა ხანია მოწინავე მუშებად თვლიან. მაგრამ მაინც სიხარულით გევსება გული, როცა შენი მეგობრის დაფაზე წაუშლელად ელავს „120-130 პროცენტი".

ზოგჯერ თენგიზი შეეკამათება ამხანაგებს, ზოგჯერ არ ეთანხმება მათ რაღაც ტექნიკურ საკითხში. ასეთ წუთებში იზოლდას განსაკუთრებით უყვარს იგი და, რა თქმა უნდა, გულში უსიტყვოდ ეთანხმება—თენგიზმა იცის თავისი საქმე.

დე, ყველამ იცოდეს თავისი საქმე.

* * *

— ჯუმბერი დღესაც იგვიანებს, — ახალგაზრდა მეუღლე ინგა თითქოს უკვე შეეჩვია ამას, თუმცა ზოგჯერ გულში მაინც რჩება ხოლმე ხინჯი — ინგას არ უყვარს, როცა ჯუმბერი იგვიანებს. მაგრამ მან კარგად იცის, რა თავაუღებელი სამუშაო აქვს მის ქმარს და რას ნიშნავს დიასახლისისათვის სამზარეულოში ანთებული გაზის ცისფერი ალი. ჯუმ-

ისინი ორნი არიან, მთელს დედამიწის ზურგზე...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერს ეს ცისფერი ალი მოაქვს ადამიანებისათვის და ამით ამაყობს ინგა. აკი მაშინვე მოეწონა ეს მხიარული, ჯანღონით სავსე ყმაწვილი, როცა მოსკოვში ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალზე ერთ-ერთ საღამოს ჯუმბერმა საცეკვაოდ გაიწვია იგი. ჯუმბერი ჯიუტი იყო და ინგას ხშირად უხდებოდა დათმობა. ამჯერადაც ვაჟმა თავისი გაიყვანა — თბილისში დაბრუნებისას მეგობრებმა დიდებული ქორწილი გადაუხადეს.

ჯუმბერი ჯაზით და სპორტითაა გატაცებული. ინგას უფრო კლასიკური მუსიკა უყვარს. მოვა თუ არა სამუშაოდან ან სპორტულ მოედნიდან, ჯუმბერი მაშინვე ჩართავს ხოლმე რადიოლას და ჯაზის ცეცხლოვანი ხმებით ავსებს მთელს სახლს. ინგა ირწმუნება, რომ ჯაზი მას სულაც არ უშლის ხელს მეცადინეობაში. იგი სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტს ამთავრებს. ჯუმბერი მოუთმენლად ელის ამ დღეს, უფრო მოუთმენლად, ვიდრე პატარა ნინო, რომელიც ინგას აზრით, ცოტა ადრე მოევლინა ქვეყნიერებას და აღარ დაელოდა, როდის დაამთავრებდა დედა სწავლას.

ამას წინათ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს დიდი სიხარული ეწვია — მათ ახალი ბინა მიიღეს. ქორწინების პირველ ხანებში ცოტა გაუჭირდათ. ჯუმბერი მთელი დღე, როგორც იტყვიან, ობიექტებზე იყო, ინგა უნივერსიტეტსა და საჯარო ბიბლიოთეკაში ათევდა. მარტო კვირა დღით იყვნენ ხოლმე თავისუფალნი, დანარჩენი დრო მუშაობას, სწავლას და... ბინაზე სირბილს მიჰქონდა.

და აი „თბილგაზის“ № 1 სამშენებლო-სამონტაჟო კანტორის მთავარმა ინჟინერმა ჯუმბერ დუმბაძემ მიიღო მშვენიერი, ნათელი ბინა, კოპწია საბაზანოთი და ფართო სამზარეულოთი, სადაც მტკიცედ გამეფდა დიასახლისი.

დუმბაძეები ხშირად დადიან თეატრში, კონცერტებზე, მეგობრებთან, მაგრამ ახლა ყველაზე უფრო საღამოს შინ გატარება უყვართ — აქ ისინი განსაკუთრებით კარგად გრძნობენ თავს. ამიტომაცაა, რომ მეგობრები ხშირად აკითხავენ მათ სახლში და მაშინ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს შორის იმართება საიდუმლო ბჭობა-კამათი ვახშმის უკეთ მოწყობის თაობაზე. მაგრამ ყველაზე მეტი საკამათო და განხეთქილების ერთადერთი მიზეზი მაინც პაწია მოუსვენარი შპიცი „გორდაა“. ჯუმბერს არ უყვარს ძაღლები. ინგა კი მათ დანახვაზეც სასოებაში მოდის. იქნებ ახალი ბინის მიღების შემდეგ ჯუმბერმა შეიწყნაროს „გორდა“? პატარა ნინოც დედის მხარეზეა. „გორდას“ ცელქობა საშინლად აღაფრთოვანებს გოგონას. რას ეტყვის მამა, როცა ნინიკო გაიზრდება და „გორდას“ მოიკითხავს?

• • •

დიახ, გაივლის დრო, ნინო გაიზრდება, გაიზრდებიან სხვა ოჯახიშვილებიც, დატოტდებიან, დამრავლდებიან, ახმაურდებიან შვილების, შვილიშვილების, შვილთა შვილიშვილების დაუცხრომელი სიცილ-ჟრიამულით და ისინი, ვინც ახლა ორნი არიან და ვისაც სიყვარული ეხმარება ზოგჯერ ძნელი დასაწყისის გადალახვაში, სვებედნიერად გაიხარებენ მათი ჯანსაღი, კიდევ უფრო მჩქეფარე და ნათელი ცხოვრებით.

ა. მარჯანიძე.

ფოტო გ. თიკანაძისა.



▲ „ჯუმბერმა მთელი საათით დაიგვიანა“, — შეშფოთებული ინგა ფანჯარას აღარ სცილდება.



ინგა ირწმუნება, რომ ჯუმბერის საყვარელი მუსიკა სულაც არ უშლის ხელს მეცადინეობაში.



გაივლის დრო და ისინი, ვინც ახლა ორნი არიან, ასე გამრავლდებიან და გაიხარებენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო

# გერმანიის საკითხი მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს

ჩვიდმეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიის გამანადგურებელი დარტყმების შედეგად ფაშისტურმა გერმანიამ კაპიტულაცია მოახდინა. მაგრამ გერმანიასთან ჯერ კიდევ არ არის დადებული საზავო ხელშეკრულება, მოუწესრიგებელია დასავლეთ ბერლინის საკითხი.

რა არის ამის მიზეზი?

ცნობილია, რომ ომისშემდგომ წლებში საბჭოთა კავშირი მრავალჯერ მოითხოვდა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას, მაგრამ საბჭოთა მთავრობის ყოველ წინადადებას გერმანიის საკითხზე დასავლეთის სახელმწიფოები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველმა წრეებმა უარი თქვეს გერმანიის პრობლემის გადაწყვეტაზე პოტსდამის 1945 წლის შეთანხმების საფუძველზე და კურსი აიღეს გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინებაზე. სწორედ მათ შექმნეს 1949 წელს დასავლეთ გერმანიის სეპარატული სახელმწიფო, რითაც გათიშეს ერთიანი გერმანია.

„ამერიკის მონოპოლიები და მათი ინგლისელი და ფრანგი მოკავშირეები, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, — აშკარად ეხმარებიან დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინებას, რომელიც ცინიკურად ქადაგებს რევანშისტულ, დამპყრობლურ მიზნებს. ამზადებს ომს სოციალისტური სახელმწიფოებისა და ევროპის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. ევროპის ცენტრში იქმნება აგრესიის საშიში კერა, რომელიც საფრთხეს უქმნის ყველა ხალხის მშვიდობასა და უშიშროებას“.

დასავლეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა სულ უფრო თავხედურად აცხადებს დასავლეთ ევროპის ჰეგემონის პრეტენზიას. სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში მან უკვე 1959 წელს გაუსწრო ინგლისს და ერთიორად გადააჭარბა საფრანგეთს. ახლა იგი უფრო მეტ სამრეწველო პროდუქციას აწარმოებს, ვიდრე 1939 წელს აწარმოებდა ჰიტლერული გერმანია.

დასავლეთ გერმანიის ეკონომიურ ძლიერებასთან ერთად იზრდება მისი სამხედრო პოტენციალიც. მას შემდეგ, რაც დასავლეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ნატოს აგრესიულ ბლოკში შევიდა, პრაქტიკულად ხელს აღარაფერი უშლის მის შეიარაღებას. დასავლეთ გერმანიის არმია — ბუნდესვერი, რომელიც ახლა ყველაზე დიდი არმიაა დასავლეთ ევროპაში, შეიარაღებულია უახლესი საბრძოლო ტექნიკით. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო ხარჯები ახლა გაცილებით აღემატება ჰიტლერული არმიის ხარჯებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბონის მილიტარისტები უტიფრად მოითხოვენ ბუნდესვერის შეუზღუდველ აღჭურვას ატომური და რაკეტული იარაღით.

დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები გაძლიერებით აღვივებენ მოსახლეობაში რევანშისტულ განწყობილებას, სიძულვილს საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნებისადმი, გააფთრებით ეწევიან აგრესიის იდეოლოგიურ მომზადებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, ისინი მოითხოვენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ძალდატანებით შეუერთდეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, და არ ცნობენ გერმანიის იმ საზღვრებს, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დადგინდა.

გერმანიის პრობლემის განუყოფელი ნაწილია დასავლეთ ბერლინის საკითხი, სადაც შეიქმნა განსაკუთრებით არანორმალური და საშიში მდგომარეობა. საბჭოთა კავშირის წინადადებაა დასავლეთი ბერლინი გადაიქცეს თავისუფალ დემილიტარიზებულ ქალაქად, მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოები ჯიუტად უარყოფენ ამ წინადადებას. დასავლეთ ბერლინში კვლავ გრძელდება საოკუპაციო რეჟიმი, განუწყვეტლივ დიდდება ჯარების რაოდენობა. ამასთან დასავლეთის სახელმწიფოების მმართველი წრეები აცხადებენ, თითქოს ამის უფლება მათ 1945 წლის შეთანხმებით ჰქონდეთ მოპოვებული.

მაგრამ ცნობილია, რომ ბერლინი საბჭოთა ჯარებმა აიღეს. დასავლეთის სახელმწიფოთა ჯარების ნაწილები ბერლინში შევიდნენ მოკავშირეთა შეთანხმების შესაბამისად, ვინაიდან ბერლინი იყო ოთხი სახელმწიფოს საკონტროლო საბჭოს ადგილსამყოფელი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა, რომლებმაც დაარღვიეს პოტსდამის ხელშეკრულება და დაშალეს საკონტროლო საბჭო, დაჰკარგეს ბერლინში ყოფნის ყოველგვარი უფლება. მათ არ შეუძლიათ თქვან, რომ ბერლინში რაიმე „შეთანხმებულ“ ფუნქციებს ასრულებენ. მათ არ შეუძლიათ ამ ქალაქში დარჩნენ აგრეთვე იმ საბაბით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოკავშირეები არიან როგორც ნატოს წევრები, ვინაიდან დასავლეთ ბერლინი არ მდებარეობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ეს ფაქტი თვით დასავლეთის სახელმწიფოებმა აღიარეს უკვე მაშინ, როცა ბონის სეპარატული სახელმწიფო შექმნეს. მაშასადამე დასავლეთის სახელმწიფოებისათვის დასავლეთ ბერლინი არის პლაცდარმი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მთელი სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მუშაობისათვის. ტყუილად როდი უწოდა მას ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა უმაღლესმა კომისარმა დასავლეთ გერმანიაში კონეტმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გულში შერჭობილი „შუბის წვერი“.

საბჭოთა მთავრობის კონსტრუქციულ წინადადებებს გერმანიის საკითხის მშვიდობიანად მოწესრიგებისათვის სავსებით იწონებენ და მხარს უჭერენ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხები, მთელი მსოფლიოს პროგრესული, დემოკრატიული საზოგადოებრიობა.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ ამჟამად, როცა ევროპაში გერმანიის ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობს, გერმანიის გაერთიანება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის პირდაპირი მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით. გერმანელები თვითონ უნდა მორიგდნენ თუ როგორი ცხოვრება და როგორი ურთიერთობა სურთ. გერმანიის საკითხზე საბჭოთა კავშირის წინადადების მიღება ევროპაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის პრაქტიკული განხორციელება იქნებოდა.

დ. მაისურაძე.









# უხილავ საუნჯეთა მზვერავები



ფოტო ო. თუშაძისა.

ამ ადამიანებმა არ იციან რა არის დაღლა. ქარსა და ყინვაში, წვიმასა თუ სიცხეში მუდამ მხნედ და იმედიანად მიაბიჯებენ. ფრიალო მთების ფერდობებზე, უკაცურ ხეობებში, გაუვალ ტყეებსა და უდაბნოებში თვითეულ კუთხეს გულმოდგინედ ზვერავენ, რომ ფართოდ გაუხსნან კარი დედამიწის გულში ჩამარხულ უამრავ სიმდიდრეს.

ყოველთვის, როგორც კი ალიონი დაენთება ცაზე, შორეული ლაშქრობისათვის მომზადებული გეოლოგები ერთხელ კიდევ მიუსხდებიან რუკას და ჩვეული გულისყურით აზუსტებენ მთელი დღის მარშრუტს (სურათი 1).

უხილავ საუნჯეთა მზვერავებმა კარგად იციან, რომ დასაზვერი მიდამო მრავალი ამოუცნობი საიდუმლოებით არის მოცული. ამიტომაცაა, რომ ყოველ მიკვლეულ ნიმუშს ასე სიყვარულითა და მზრუნველობით დასტრიალებენ თავზე, ასე ზუსტად და დეტალურად ინიშნავენ მათი აღების ადგილს (სურათი 2).

საღამო ხანს მთებსა და მინდვრებში დაცემულ კარვებს მიაშურებენ ხოლმე გეოლოგები.

ჭერ საკუთარი ხელით გაიმზადებენ უგემრიელეს საჭმელს, ვახშმის შემდეგ კი წიგნებსა და ახალ ჟურნალ-გაზეთებს წამოავლებენ ხელს... (სურათი 3).

ყოველთვის, როგორც კი ზღვაზე ნავთობის პირქს შენიშნავენ, მაშინვე გეოლოგები უყოყმანოდ იკეთებენ აკვალანგს და ქვიშის ნიმუშის ამოსატანად წყლის ფსკერისაკენ მიეშურებიან (სურათი 4).

ალიონთან ერთად ისევ იწყება ლაშქრობა. მთებსა და ხევებს, მინდვრებსა და უდაბნოებს ისევ ნაბიჯ-ნაბიჯ შეისწავლიან გეოლოგები, რათა ახალ-ახალ საუნჯეებს გაუხსნან გული და მშრომელი ხალხის სამსახურში ჩააყენონ იგი (სურათი 5).



ეროვნული ბიბლიოთეკა

51



**ნანა ლვინეფაძე**

# „ტრიფოს ბოვშები..."

ისინი თავიდანვე ბევრნი იყვნენ — ცხრა და-ძმა; მამა ტრიფონი და დედა ესმა ამაყობდნენ მრავალშვილიანი ოჯახით. ოჯახს ხალისი და სიყვარული არ აკლდა, ბავშვები ხომ განსაკუთრებულად მოსიყვარულეები ყოფილან. ძმები სამ დასთან თავიდანვე შეხმატკბილებულან. ამ შეხმატკბილებამ ასწავლა მათ სიმღერა.

დედაც ტკბილად მღეროდა, მამაც და ბიძაც. ეკლესიაშიც გალობდნენ. ესმაზე ახლაც იტყვიან:

— სადაც კი ბატონები გაინძრეოდნენ, ისიც იქ გაჩნდებოდა თავის ჩონგურიანა და ავადმყოფს შვებას მოჰგვრიდაო.

— ორმოცდაათამდე სიმღერა შემიძლია დავამღერო ჩონგურზეო, — ეტყოდა შვილიშვილებს უკვე მოხუცებული. ქალიშვილებს ნინოს, მინადორას და პოლიშკას მისი სიტკბო დაჰყვათ ხმაში და საამაყო ექვს ძმასთან ერთად ხშირად მოუხიბლიათ ახლობლები თუ სტუმრები.

ფართო ასპარეზზე კი ძმები გამოვიდნენ, როგორც იმერული ხალხური სიმღერების საუკეთესო შემსრულებლები. სადაც არ უნდა გამოჩენილიყვნენ ექვსივე ნაცრისფერი ჩოხითა და სვანური ქუდებით, ყველგან ყურადღებას იქცევდნენ. კარგი ცხენოსნები, დარბაისელნი და ჩინებული სიტყვა-პასუხის პატრონნი ერთნაირი ულვაშებითაც გამოსარჩევნი იყვნენ.

ერთადერთი ძმა — ვიქტორია უულვაშო, როდესაც პირველ რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ეწვია თბილისს, ახალი ნაცნობები მოსვენებას არ აძლევდნენ — შენც რატომ არა გაქვს ულვაშებიო. ვიქტორს „ულვაშებში" ელიმებოდა: ქალაქელებს განა ეთქმოდათ რაიმე?!

ქართული მუსიკალური ფოლკლორის ენთუზიასტები კარგად იცნობდნენ ექვს ოქროპირს, მაგრამ უფროსმა ნესტორმა, ნატუას რომ ეძახდნენ ახლობლები, ათი წლის წინ დაადარდიანა ოჯახი. მისი სიკვდილის შემდეგ ბიძაშვილი ლასიკო ლვინეფაძე იძმეს სიმღერაში. ლასიკოსაც კარგი ბანი აქვს.

ბევრი კარგი საღამო ახსოვს მეორე სახლიკაცის — ილიკოს ეზოს. საკოლმეურნეო ფართობებიდან დაბრუნებულ ძმებს აქ უყვარდათ თავის შეყრა, კაკლის ძირში. ახალგაზრდები უჩა და აბდულაც შეუერთდებოდნენ და დიდხანს ატკბობდა გარემოს მათი სიმღერები. ბაღნარად ქცეულ ეზოში ბულბულებიც მომრავლებულიყვნენ და როცა ეზო დაცარიელდებოდა, იწყებოდა ახალი კონცერტი, იგონებენ მეზობლები ლეგენდასავით.

ბევრჯერ დამუქრებია ხუმრობით კოლმეურნეობის თავმჯდომარე კაკლის ხეს, გაცდენთ და უნდა მოვჭრაო. მერე ხე გახმა... ადამიანები კი მაინც მღერიან... იმ ხეს ფრონტიდან არდაბრუნებულ შოთას ქერა კოჩორი და ლამაზი ტემბრიც ახსოვდა!

* * *

„ალილოზე" ჩამოვლილთა შორის ყველაზე მოგებული ის რჩებოდა, ვინც „ტრიფოს ბოვშებს" გაჰყვებოდა. ასე იხსენიებს ქვემოურ ლვინეფაძეების ერთ შტოს მთელი სოფელი. პატარა მომღერლები ისე მოინადირებდნენ ხოლმე მეზობლებსა და კეთილებს, შობას ნობათით დატვირთული კალათები ძლივს მიჰქონდათ მიხაკოს, კოწიას, პროკლეს, პაპუკის.

მოჰკრავდა თუ არა ყურს რაიმე სიმღერას ცისფერთვალა მიხაკო, იმწამს დაეწაფებოდა, „გუნებაში გააკეთებდა" და შინ მისვლისთანავე ძმებს „გადასცემდა". პირველი ხმა ჰქონდა და ლოტბარობაც თვითონ დაიკისრა ბავშვობიდანვე.

პატარებს ისე გაუვარდათ სახელი, ეკლესიაშიც „მიიწვიეს". ეს იყო მათი დებიუტი, მათი სცენა... დებიუტი არცთუ ადვილი, რადგან მგალობელთა ოთხი პარტია ჰყავდა ეკლესიას და მათთან შეჯიბრება სახუმრო საქმე როდი გახლდათ. ნოტებზე გადატანილი საგალობლები ახალი შემოღებული იყო და „ნოტის გალობას" ყველაზე კარგად ვამბობდითო, — იგონებს ისევ მიხაკო. მლოცველებს მალე შეუყვარებიათ ახალი მგალობლები და ისე გვისმენდნენ, როგორც კარგ კონცერტზეო.

რაკი პატარებს „შტატიანი" მგალობლები არ ეყვნენ, ცხადია, ყველა წირვა-ლოცვაზე დასწრებით თავს არ იწუხებდნენ. რამდენჯერ მივარდნილა მათთან საყდრის დარაჯი: არიქა, მღვდელი მობრძანდა და წამოდით, იგალობეთო. ბიჭებიც მიანებებდნენ თავს თამაშს და ამაყად გაჰყვებოდნენ მაცნეს.

წირვაზე მღვდელი რა ხმასაც მისცემდა, ის გალობა უნდა ეთქვათ და ნატრობდნენ წამოეწყო „დიდება მაღალთა შინა", „აღდგომასას შენსას" და ყველაზე მეტად „შენ გიგალობებ". ეს უკანასკნელი ძლიერ უყვარდათ პატარებს და მთელი გრძნობით გალობდნენ.

წირვა რომ გამოვიდოდა, თანასოფლელები „ტრიფოს ბოვშების" ქებაში იყვნენ ნიადაგ...

გავიდა წლები, გაჰალარავდნენ და მაშინ მიაგნო მათ კომპოზიტორმა გრიგოლ ჩხიკვაძემ. ეს იყო ძვირფასი აღმოჩენა.

აბიბინებულ ეზოში შეკრებილი მეზობლები და ახლობლები კი თავის მხრივ გაოცდნენ: აგერ, ახლა ნათქვამი სიმღერა უცებ ყუთიდან მოესმათ. მაგნიტოფონი „მღეროდა" „პატარა საყვარელოს", „მასპინძელსა მხიარულსა", „სატრფიალოს", „წამოკრულ ლილინს" — იგივე „ზეცას მიმავალი", რომელიც შემდეგ მოუნათლავს „წამოკრულ ლილინად" კომპოზიტორ გრიგოლ კოკელაძეს.

მერე უკვე ძმები მღეროდნენ სარაიონო და რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, მღეროდნენ და ატკბობდნენ მსმენელთ ძველიმერული ჰანგებით. ისევ იწერებოდა გ. ჩხიკვაძის მეოხებით მათი „იმერული ხელხვავი" თუ „კესარია" („ჩემისთანა დაჩაგრული"). თხუთმეტი თავი სიმღერა მაინც ჩავწერეთ შვიდი წლის წინო. რადიოს საშუალებითაც ხშირად ვუსმენდით მათ, ახლა რატომღაც მიივიწყეს.

იმერული ღვინოსავით საამოა ძმების სიმღერა. მათი „დაძველებული" ხმები დღესაც შეწყობილია და დაუვიწყარი. მათი „ალილოც", მათი ძილისპირულებიც დაღვინებულა მათთან ერთად. სიმღერაა მათი წყალი და ღვინო...

ასე გალობდნენ ბავშვობიდანვე „ტრიფოს ბოვშები", ასე დიდ ბავშვებად შემოგვინახა მათი ჰალარა თავები სიმღერამ.



# ზურაბ ნიჟარაძე

პირველი ნახატები ისევე გულუბრყვილო და უშუალო იყო, როგორც ბავშვური წარმოდგენა სამყაროსა და ბუნებაზე. გაუწაფავი და გაუბედავი ხელი ხატავდა პორტრეტებს, ეტიუდებს, პეიზაჟებს. თვალები აკვირდებოდნენ ხატვის ობიექტს და ეძებდნენ, ეძებდნენ... ზურაბი ალღოთი იჭერდა ისეთ ფსიქოლოგიურ დეტალებსა და ნიუანსებს, რომლებიც პორტრეტს ერთბაშად აცოცხლებდა და სრული ბუნებრიობის ელფერს ანიჭებდა. ამიტომ იყო, რომ მაშინ ბევრმა მისმა ნამუშევარმა მოწონება დაიმსახურა ნორჩ მხატვართა კონკურსებზე.

შემდეგ თბილისის სამხატვრო ტექნიკუმი... ახალი თემები, ახალი თვალსაზრისი. მაგრამ ის თავისებური ხელწერა, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოუმუშავდა, არ შეცვლილა, ოღონდ დაიხვეწა და პროფესიული ოსტატობის სიმაღლეზე ავიდა.

...გაზაფხულის მზეს გაუნათებია ახალგაზრდა მხატვრის სახელოსნო. ოთახი გავსებულია სხვადასხვა ჟანრის პორტრეტებით. ეს ზურაბ ნიჟარაძის ნამუშევრებია, რომლებმაც რესპუბლიკურ გამოფენებზე მას საერთო აღიარება მოუპოვეს; აქვეა მხატვრის ახლახან დამთავრებული ნახატების ციკლი. ციკლი მთლიანად ეძღვნება იტალიურ შთაბეჭდილებებს.

ზურაბ ნიჟარაძე სიყვარულით მუშაობს პორტრეტებზე. ახალგაზრდა მხატვარი რამდენიმე ფართო ტილოს ავტორია. მკითხველი ხშირად წააწყდება ზურაბ ნიჟარაძის ლამაზად და გემოვნებით გაფორმებულ წიგნებსა და ჟურნალებს, რომლებიც საყოველთაო მოწონებას იმსახურებენ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



მეუღლის პორტრეტი

# ზურაბ ნიჟარაძე



მანანა



ნატურმორტი



საქ სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი.

ვაზის სამშობლოდ ცნობილ საქართველოს დედაქალაქში 13 სექტემბერს გაიხსნა მევენახეობისა და მეღვინეობის მეათე საერთაშორისო კონგრესი. ჩვენს სამშობლოში ჩამოვიდნენ სპეციალისტები მსოფლიოს იმ ქვეყნებიდან, სადაც ვაზის კულტურა მაღალ დონეზე დგას, ყურძენს, ღვინოსა და კონიაკს ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი, სადაც კონგრესი მიმდინარეობდა, საზეიმოდ იყო მორთული. დარბაზში გამოფენილი იყო იმ ქვეყანათა სახელმწიფო ალმები, რომლებიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში. კონგრესს ბევრი სტუმარი ესწრებოდა.

მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროს დირექტორი ბ-ნი ბროტენი მიკროფონთან მივიდა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტს და საბჭოთა კავშირის მთავრობის წარმომადგენელს სთხოვა პრეზიდიუმში მობრძანება.



მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტი ბარონი ლე რუა.

X CONCRES O.I.V. L'URSS TBILISSI·1962



სსრ კავშირის დელეგაცია კონგრესზე.

# მშვიდობისა და სიუხვის კონგრესი



ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზი ფეხზე ადგომით, ტაშით შეეგება ბარონ ლე რუასა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს.

ბარონი ლე რუა კონგრესს გახსნილად აცხადებს და სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის მთავრობის წარმომადგენელს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გ. დ. ჯავახიშვილს. იგი ლაპარაკობს კონგრესის მნიშვნელობის შესახებ, იმ დიდ მუშაობაზე, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მევენახეები და მეღვინეები, ჩვენი მეცნიერები და აგრონომები ეწევიან სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგში. „საქართველო, რომლის დედაქალაქი არჩეულია ამ კონგრესის ადგილად,—თქვა ამხ. ჯავახიშვილმა, — მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი ქვეყანაა, რასაც მოწმობს წარსულის მატერიალური კულტურის დიდძალი ძეგლი, ამასვე ადასტურებს ის, რომ აქ 500-ზე მეტი ადგილობრივი ჯიშის ვაზია"...

სხდომათა დარბაზში შესვენების დროსაც არ წყდება საქმიანი, მეგობრული საუბარი.



სახელდახელოდ გაშლილი სუფრა... ორმიმოთი დალეულ ქვევრის ღვინოს ლაზათს აძლევს დედასპური და გუდის ყველი. ყველა სტუმარს სურს იგემოს ეს სიამოვნება.





...ამტრესტის" ღვინის პირველი ...ის დირექტორი ელენტი სტუმ- ... დეტალურად აცნობს ღვინის ჩა- ...მის ტექნოლოგიას.

ბარონმა ლე რუამ ყველა მოხიბლა თავისი გულწრფელობითა და ენამახვილობით. 74 წელს გადაცილებული მოხუცი დეგუსტაციის ნორმებს გულდაგულ არღვევდა და ქართულ ღვინოს საფუძვლიანად ეცნობოდა.



დასასრულ გ. დ. ჯავახიშვილმა კონგრესის მონაწილეთ უსურვა წარმატებითი ნაყოფიერი მუშაობა და სასიამოვნო ყოფნა საქართველოში. შემდეგ შეკრებილთ მიმართა ბარონმა ლე რუამ.

კონგრესის მონაწილეებმა თავისი ხელმძღვანელი ორგანოები აირჩიეს. შემდეგ მუშაობას შეუდგნენ სექციები.

კონგრესის მონაწილეები გაეცნენ ქართველი მევენახეებისა და მეღვინეების მიღწევებს.

15 სექტემბერს სტუმრები კახეთს ეწვივნენ. იყვნენ გურჯაანში, მუკუზანში, ველისციხეში, წინანდალში, ყვარელში.

კონგრესის მუშაობა მიმდინარეობდა მეგობრობისა და კონტაქტის გრძნობის ვითარებაში. გარდა სპეციალური საკითხების წარმატებით გადაჭრისა, საბჭოთა ადამიანებისა და ჩვენი ცხოვრების უშუალო გაცნობამ კიდევ უფრო გააფართოვა ჩვენი ქვეყნის მეგობართა და პატივისმცემელთა რიცხვი, რაზეც გულთბილად ილაპარაკა ბარონმა ლე რუამ. „მინდა რომ ეს გრძნობები სუფევდეს მსოფლიოში. მე მგონია, რომ ჟენევაში კი არ უნდა მიმდინარეობდეს კონფერენცია განიარაღების შესახებ, არამედ აქ, თბილისშიო", — თქვა მან ტაშის გრიალში.

კონგრესმა მუშაობა 17 სექტემბერს დაამთავრა.

იტალიელ პ. გაროლიოს ღვინის პირველი ქარხნის კოლექციაში თავისი ქვეყნის ძველისძველი ღვინის ნიმუში აჩვენეს, რომელიც თურმე თვით იტალიაშიც არ მოიპოვება.



# როგორ დაიწერა «ლამბალო და ყაშა»



მ. ჯავახიშვილი და ისმაილ აღა სიმკო.

მიხეილ ჯავახიშვილმა „ლამბალო და ყაშაში“ ასე გაასაუბრა ერთმანეთს ქართველი ექიმი და გენერალი ჩერნოზუბოვი.

„...ვინ იყვნენ ის ქურთები, გუშინ დილით რომ ელაპარაკებოდით?

— მე? ქურთებს? გუშინ დილით?

— დიაღ, თქვენ, ქურთებს, დილის შვიდ საათზე.

— სად, გენერალო?

— აგერ, იმ მთის კალთაზე.

— არაფერი არ მესმის.

— მე კი მესმის, ერთი ქურთის სახელიც ვიცი.

— სახელიც?

— დიაღ. მოგახსენებთ: აბდულ რეზაკი, ბარაღოსტანიდან გადმოსული ქურთების ბელადის ისმაილ აღა სიმკოს კაცი იყო. არ გაგონდებათ?

— ჩემს სიცოცხლეში ჯერ ერთ ქურთსაც არ დაველაპარაკებივარ...“

საინტერესოა, რად შეიტანა მწერალმა თავის ნაწარმოებში ისმაილ აღა სიმკო? საიდან იცნობდა მას და სინამდვილეში რა აკავშირებდა ქურთებთან?

ამ კითხვებს თვითონ უპასუხა მწერალმა 1928 წელს ბელეტრისტ დავით კასრაძესთან საუბარში:

„— მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, 1915 წლის ბოლოს, წაველი ფრონტზე წითელ ჯვარში. მოვიარე სპარსეთი, ოსმალეთის ზოგიერთი ვილაიეთი. ჩემი „ლამბალო და ყაშა“ იმდროინდელი განცდის ნაყოფია... სპარსეთში სალმარის პროვინციაში ვმუშაობდი. აქ იყო გუბერნატორად გარდახვეწილი ალექსანდრე ბატონიშვილი (ქურთისტანის საზღვარზე). ქურთების ბელადი ისმაილ აღა სიმკო თავზე ხელაღებული, გაბედული მებრძოლი იყო. მალე დამიმეგობრდა. რუსეთის კონსული და სიმკო ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ჩემს კაბინეტში, ასე, რომ რუსეთის პოლიტიკა ქურთისტანში ამ ოთახში კეთდებოდა. სიმკოს საჩუქრად ტფილისიდან ჩამოვუტანე ქართული ხმალი, სამაგიეროდ გადმომცა მშვენიერი ქურთ-არაბული ცხენი. ყოველ შემთხვევისათვის, ჩემი სამსახურის მოწმობაზე ბეჭედი დამიკრა და ხელიც მომიწერა. რამდენიმე თვის შემდეგ გამომადგა მისი ბეჭედი. დელმანიდან მოწინავე პოზიციებზე მივდიოდი. ასი ვერსით დავშორდი მთავარ ბაზას. შუა გზაზე მხლებელი დამივარდა. სურიანის ხეობაში უცებ ქურთებმა გზა გადამიღობეს. გამაფითრეს. გამახსენდა სიმკოს ბეჭედი. ვუჩვენე. უმალ ფერი იცვალეს. მაინც არ გამიშვეს. მთა-მთა მატარეს, ბილიკებით, და სიმკოს ბანაკში მიმიყვანეს. სიმკოს დიდად გაუხარდა ჩემი მისვლა და სამ დღეს არ გამომიშვა...“

ალბათ მწერლისა და ქურთების ბელადის ასეთი მეგობრული ურთიერთობა გამოიწვია მათმა სულიერმა ნათესაობამ.

მიხეილ ჯავახიშვილი თანაუგრძნობდა დაჩაგრულ, დამონებულ და დევნილ ქურთ ხალხს. მისი ბედი მშობლიური ხალხის ბედს აგონებდა. ცნობილია, მიხეილ ჯავახიშვილი მეფის მთავრობის მიერ დევნილი იყო და რამდენჯერმე გადასახლება-პატიმრობაშიც იმყოფებოდა. ასეთი წარსულის მქონე პიროვნება, რა თქმა უნდა, ჯარში განსაკუთრებული ყურადღებისა და ზედამხედველობის ქვეშ ეყოლებოდათ. როგორც ჩანს, მწერლისა და სიმკოს შეხვედრები სამხედრო ხელმძღვანელობის ნამალევად ხდებოდა.

ქურთების ბელადი ვერ ეგუებოდა ცარისტულ რუსეთს. მით უმეტეს მის შემდეგ, რაც ჯაშუშმა და გაიძვერა ყაშამ რუსის ჯარს ქურთების სოფლები გადააწვევინა. სიმკო რუსეთის გენერლებისათვის საშიშ პიროვნებას წარმოადგენდა და მასთან ყოველგვარი კავშირის გაბმა რუსეთის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ ითვლებოდა.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ქართველმა ექიმმა იცრუა და მეფის გენერალს სინამდვილე დაუმალა.

მიხეილ ჯავახიშვილი იმ წლებში წითელი ჯვრის მეხუთე საავადმყოფოს ადმინისტრატორად მუშაობდა. ქართველი ექიმი „ლამბალო და ყაშადან“ — თვითონაა, ხოლო თეიმურ აღა სწორედ ის გენერალი ჩერნოზუბოვია, რომელიც საავადმყოფოს გამგეს ასე ჩაციებით ეკითხებოდა ქურთების ბელადის — ისმაილ აღა სიმკოს შესახებ.

ვ. ნოღელია.

# ბუნება გვკარნახობს

სინათლის გამღიზიანებელზე ხოჭოს რეაქციის შესწავლამ მეცნიერებს შეაქმნევინა დედამიწის მიმართ თვითმფრინავის სიჩქარის მაჩვენებელი ახალი ხელსაწყო.

ზიმზერის (თევზია) თვალის გამოკვლევამ კი ხელი შეუწყო ელექტრული თვალის შემუშავებას, რომელიც ამაღლებს გამოსახულებათა კონტრასტულობას და შეუცვლელია აეროფოტოგადაღებათა გაშიფრვაში.

მაგრამ ბუნებას აქვს თავისი რეკორდები, რომლებსაც ტექნიკა ჯერ ვერ მისწვდა. ინჟინრებს ისინი ნიშანში აქვთ ამოღებული.

ქვიშის რწყილი ნაპირზე ხტუნვის შემდეგ მთვარის მდგომარეობის მიხედვით იკვლევს გზას ზღვისაკენ.

თევზებს უნარი შესწევთ შეიგრძნონ წყალში ელექტრული ველის ცვალებადობა მილიამპერის ერთი მეათასედი ნაწილით.

ჩხრიალა გველი თვალებს შორის მოთავსებული ორგანოთი გრძნობს ტემპერატურის შეცვლას 0,001 გრადუსით.

ღამურა დიდ ხმაურშიც კი შეიგრძნობს ულტრაბგეროვანი სიგნალების ანარეკლს. სალოკაციო სისტემა საშუალებას აძლევს მას ზუსტად განსაზღვროს თევზების ადგილსამყოფელი წყალში.

ღამის პეპელას ყური სულ სამ ნერვიულ ბოჭკოს შეიცავს, მაგრამ მისი შემწეობით პეპელა რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე იჭერს ღამურას მიერ გამოცემულ ულტრაბგერებს.

კუტკალია გრძნობს დედამიწის ქერქის რყევას, რომლის ამპლიტუდა წყალბადის ატომის დიამეტრის ნახევარზე ნაკლებია.

# ლირიკა

ჯანსუღ ჩარკვიანი

## მზევ შინა — და მზევ გარეთა...

(ციკლიდან: „ხმელთაშუა ზღვის ნიჟარები“)

მზეო ამოდი,
მზეო ამოდი,
თორემ უშენოდ ქვეყანას სძინავს,
მაღალი ღამე ფიქრსაც მამაღლის
და სიყვარული მიჯდება ძვირად,
შორი გზებია მთიდან ბარამდე
და უფსკრულებსაც არა აქვს ძირი.

მე ვიცი რომ ვერ დამაჩოქებენ
სალამოები — ზღაპრად ნაქები,
რადგანაც ჩემი თიხის დოქები
სავსეა შენი პაპანაქებით.
ისე როგორც შენ,
მე არ მოვკვდები,
მე არ მოვკვდები, მაგრამ გავქრები.

აღარ იქნება ოჯახში კაცი,
ვერ იხარებენ გარეშემოთი
და უმღერებენ აკვანში ყმაწვილს —
მზევ გარეთა და მზევ შინ შემოდი...
და აბლავლდება ცხვარი და ყანწით
საწყალი მამა რისხვას შემოთვლის.

რეკენ ზარები დიდი სამოთხის,
ყმაწვილის ტუჩზე ღიმილი ბრწყინავს,
გაიზრდება და ლერწამს გამოთლის
და სალამურზე ამღერებს დილას,
ნუ ეფარები მზეო, ამოდი
თორემ უშენოდ ქვეყანას სძინავს.

გენუა, 1961 წ.

დილარ ივერდავა

## ყინწვისი

დაფარულია შენი სხეული
წლებით, დუმილით, წარღვნით,
წარსულით.
ვარ შენს სითბოში გამოხვეული
და ვერვინ იტყვის, რომ ჩვენ
დავსრულდით.
თვლემს სული შენი, სული გრიგალი,
აღარ გემსხვრევა მკერდზე ისრები,
ფარშავანგებით სავსე გალიით
ხარ და საკვირველ შუქით ივსები.
ვართ განუყრელნი, მკვრივნი ისევე,
გულზე მზის სითბო სიტკბოდ
გვაწვეეა.
შენ ჩვენს ერდოზე ჩუმად ისვენებ,
გარდასულ დღეთა ბერი არწივი.

ემზარ კვიტაიშვილი

* * *

აქედან ვისმენ, ვწევარ და ვისმენ
კუტკალიების საამო ჭრიჭინს.
თუ აგონდება სურათი ვისმეს: —
ხბოებს მიდენის პატარა ბიჭი...

მდინარე გარბის... აქედან ვისმენ
ხავსიან ქვებზე მდინარის ჩხრიალს.
ხეებს ტოტები წასვლიათ ცისკენ,
ძირს დაბერილი ფოთლები ყრია.

მთათა სიმაღლეს თვალები გრძნობენ.
საყვარელ ლანდებს მივეახლები,
ჩასძინებია ღამეულ სოფელს
და გადაბმულად ყეფენ ძაღლები.





# ქალაქი მხრებს შლის

## თვალის ერთი გადავლებით

პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ ჭიათურაში ჩასვლისას, გოროზი მთების ფერდობებზე თავმომწონედ გადმომდგარი სახლები, კოპწია ბაღჩა-ბაღები, საჰაერო-საბაგირო გზაზე მოსრიალე ვაგონეტები და, რა თქმა უნდა, ვაგზლის მოედანზე ამართული აკაკი წერეთლის სახელობის თეატრის ქართული ორნამენტებით დამშვენებული მონუმენტალური შენობაა.

ქალაქში ტანაყრილი ჭადრების ხეივნითა და „მშრალი ხიდით“ შედიხართ. გზადაგზა ბაღებსა და ყვავილნარებში ჩაფლული ქუჩების მაცქერალს გული სიამით და სიამაყით გევსება. უფრო კი ეგნატე ნინოშვილის ქუჩა ახარებს ადამიანის თვალს. ჭიათურელთა მადლიანი მარჯვენით აგებულია აქ კინოთეატრის ვეებერთელა შენობა, ნატიფი ჩუქურთმებით შემკული ოცდაცამეტბინიანი საცხოვრებელი სახლი, სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, აფთიაქი, სასაუზმე-ავტომატი, მაღაზიები, ისევ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, თვალწარმტაცი ადმინისტრაციული შენობები. ქუჩის ბოლოს კი, მდინარე ყვირილას ნაპირზე აღმართულია სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზის მაღალსვეტებიანი სადგური. ეს სწორედ ის გზაა, რომელიც ჭიათურელი ინჟინრის გრიგოლ ფანცულაიას ჩანაფიქრით აიგო პირველად საბჭოთა კავშირში. მის პატარა ბაქნიდან ლურჯი ცის ფონზე ზღაპრულ ნახატებად მოჩანს პერევისისა და შუქრუთ-ჯარბელას პიტალო კლდეები, რომელთა ზემოთ მარგანეცის მდიდარი საბადოებია განლაგებული.

აი, ბაქანზე მძიმედ შემოტორტმანდა ფოლადის ბაგირზე ჩამოკიდებული ვეება „კალათა“. იწყება მგზავრების ჩასხმა. რამდენიმე წამი და ჩვენთან ერთად ჰაერში „მოფრინავს“ პერევისის მაღაროთსამმართველოს პარტბიუროს მდივანი ბუხუტი კავთელაძე. პერევისის ზეგნიდან, სადაც საბაგირო გზის ზედა სადგურია, ხელისგულივით მოჩანს არა მარტო ჭიათურა, არამედ მთელი მისი „ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტი“ შემოგარენიც.

კიდევ უფრო დამშვენებულა შავი ოქროს ქალაქი.

მისი გულიდან აღიმართნენ კულტურის სახლი და პიონერთა სასახლე, სასწავლო კომბინატისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის ვეებერთელა შენობები, ქალაქს მალე დაამშვენებს ორი კინოთეატრი, საკოლმეურნეო დახურული ბაზარი, ორი ხიდი და 2000 ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური.

ყვირილას გაღმა, ჩრდილო-დასავლეთით, მთის ძირას ფართო მოასფალტებულ გზას მრავალსართულიანი შენობების რიგი მიჰყვება.

— ეს ნაგუთია, ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ახალი უბანი, — გვიხსნის ბუხუტი, — ორიოდე წლის წინათ იქ ეკალ-ბარდითა და ქვა-ღორღით დაფარული მინდორი იყო. ახლა კი კეთილმოწყობილი მუშათა დაბაა. მალე ჩამოეხსნება ხარაჩოები აიმ თორმეტ მრავალსართულიან სახლსაც. მწყობრში ჩადგება ასნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური, გაიხსნება სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზა, რომელიც ნაგუთელებს უმოკლესი მანძილით დააკავშირებს ქალაქის ცენტრთან.

ქალაქი სამხრეთ-დასავლეთითაც გასცდენია ძველ ზღუდეებს და მხრები მეზობელ სოფლისათვის მიუბჯენია. შორს ცის დასალიერთან მოჩანს ნავარძეთის მთა, რომლის წვერზეც სატელევიზიო კოშკი იგება. მის მშენებლობაზე, რომელსაც „ჭიათურმარგანმშენი“ აწარმოებს, მილიონ სამასი ათასი მანეთი დაიხარჯება. სულ მალე შავი ქვის ქალაქის მშრომელთა ბინებშიც აციმციმდება ცისფერი ეკრანი.

## ჩვენი დღეების გმირები

მთის ძირში შეჭრილ გვირაბიდან ყრუ გუგუნი მოისმა. მალე მაღაროს თაღქვეშ პატარა ელმავალი გამოჩნდა და ჩვენს წინ მადნით დატვირთული ვაგონეტების მთელი შემადგენლობა გაიჭიმა. მატარებელი გადასაცლელი პუნქტისაკენ მიიჩქაროდა.

— ეს კომუნისტური შრომის უბნის ნადავლია, — ღიმილით გვეუბნება ბუხუტი კავთელაძე და ელნათურებით გაჩახჩახებულ გვირაბში მოგვიძღვის. სანგრევებში ელექტრობურღებისა და მტვირთავი მანქანების განუწყვეტელი რახრახი დგას. ინჟინერ იაკობ ყვავაძის უბნის ვაჟკაცები გულდაგულ შეჰფიან კლდეს. მათ გადაჭარბებით შეასრულეს მადნის გამოღების ცხრა თვის გეგმა, დიდად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება და ამით სახელმწიფოს ათასობით მანეთი დაუზოგეს. ასეთი საწარმოო მაჩვენებლებისათვის იყო, რომ ამ უბანს ჭიათურის მარგანეცის აუზში პირველს მიენიჭა კომუნისტური შრომის უბნის საპატიო წოდება.

გუგუნებს, რუხრუხებს მაღარო...

ზეგანის შავი ოქროს ღია კარიერში კი ბულდოზერები ბუღრაობენ, მარგანეცის მაყვლისფერ ქანებს ადვილად მისადგომებს ხდიან. ეს დიმიტროვის სახელობის მაღაროს კომუნისტური შრომის ბრიგადა უტევს შავ მთას. ბრიგადის ხელმძღვანელი მიხეილ აბრამიშვილი თვითონ მისჯდომია ექსკავატორს.

მეორე წელია, რაც მიხეილი ამ ბრიგადას ხელმძღვანელობს და წარმატებებს წარმატებებზე აღწევს. გასული წლის საწარმოო გეგმა ბრიგადამ შვიდ თვესა და ოთხ დღეში შეასრულა. ამ სარეკორდო მაჩვენებლისათვის მიხეილს დიდი ნდობა გამოუცხადეს და პარტიის XXII ყრილობაზე დელეგატად გაგზავნეს, სადაც მან სხვებთან ერთად აღფრთოვანებით მისცა ხმა კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამას.

როცა სიტყვა მისი ბრიგადის საქმიანობაზე ჩამოვუგდეთ, მიხეილს სახე გაებადრა.

— ყოჩაღი ბიჭები მყავს, — წარმოთქვა მან, — სიცოცხლე უყვართ, შრომა უყვართ. გასული წლის ბოლომდე მადანს მიმდინარე წლის ანგარიშში ვანგრევდით, ამ წლის ბოლომდეც რაც არ უნდა დაგვიჯდეს, 1963 წლის პირველი კვარტალის დავალებას შევასრულებთ. ასე გვაქვს დათქმული.

შებინდებისას სტუმარ-მასპინძლები მიხეილის გაჩირაღდნებული სახლის ჭერქვეშ ალალი გულით გაშლილ სუფრას ვუსხედით და, როცა მშრომელი კაცის მადლიან მარჯვენას ვლოცავდით, რადიორეპროდუქტორი მიხეილ აბრამიშვილსა და მის მეგობრებზე გადმოსცემდა ნარკვევს „ჩვენი დღეების გმირები“...

## მდინარე ყვირილას ნაპირზე

მიწის გულიდან ამოღებული მარგანეცი მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკებში იგზავნება. ასეთი ფაბრიკა ჭიათურაში ბევრია, მაგრამ მათგან მაინც დარკვეთისა და ითხვისის კლდეებს შორის ამართული კარბონატული მადნების გამამდიდრებელი ფაბრიკა გამოირჩევა თავისი გრანდიოზულობით. ეს ფაბრიკა პარტიის XXII ყრილობის გახსნის დღეს ჩადგა მწყობრში. იგი ყოველწლიურად ასობით ათას ტონაზე მეტ გამდიდრებულ მადანს მისცემს ჩვენს ქვეყანას. ათვალიერებ სამამულო ტექნიკით აღჭურვილ ამ ფაბრიკა-გიგანტს და უნებლიეთ გახსენდება ოცდათხუთმეტი წლის წინათ ამერიკელი კონცესიონერის ჰარიმანის მიერ აგებული ერთადერთი უბადრუკი ფაბრიკა, რომელიც ხუხულას უფრო ჰგავდა, ვიდრე მარგანეცის ნამდვილ საწარმოს.

ქალაქის ბოლოში შენდება კიდევ ერთი უზარმაზარი შენობა — ფაბრიკა-კოლექტორი, რომელიც გაფილტრავს და გაასუფთავებს სხვა ფაბრიკებიდან წამოსულ მარგანეცის შლამსა და ნალექს. მაშინ ერწოს მაღალ მთებიდან გადმოხეთქილ ყვირილას ისევ დაუბრუნდება თავისი ბუნებრივი ფერი და მის კამკამა ტალღებში კვლავ აფართხალდებიან მხიარული კალმახები.

პლატონ ასანიძე.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# ქალცედონ ონიქსი

ონიქსი კვარცის ჯგუფის მინერალის — ქალცედონის სახესხვაობაა. იგი აქატის მსგავსად, სხვადასხვა ფერის ფენებისაგან შედგება.

გარდა ქალცედონ-ონიქსისა, ცნობილია ამ ქვის მეორე სახესხვაობა — მარმარილოს ონიქსი. თავისი ზოლებრივი აგებულებით, ნაზი მოყვითალო ან მოვარდისფრო ტონებით იგი ფრჩხილს წააგავს, ამიტომ უწოდეს ონიქსი („ონიქსი“ ბერძნულად ფრჩხილს ნიშნავს).



მაღალხარისხოვანი მარმარილოს ონიქსი ხასიათდება სიღრმის ილუზიის შემქმნელი შუქგამტარობით, შეფერვის სილამაზითა და შედგენილობის ერთგვარობით.

მარმარილოს ონიქსი ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში. თეოფრასტის ცნობით, ეგვიპტელები ამ მინერალისაგან ამულეტებს და სუნამოს ჭურჭლებს ამზადებდნენ. ონიქსმა დიდი გამოყენება ჰპოვა რენესანსის ეპოქის არქიტექტურაში. მაგალითად, ონიქსით იქნა მოპირკეთებული ვენის მახლობლად მდებარე ერთ-ერთი დიდებული სასახლე. რომში პავლეს ტაძრის ოთხი მეტრი სიმაღლის სვეტები ამ ლამაზი ქვისაგან გამოთალეს. XIX საუკუნის 50-იან წლებში ფრანგებმა ალჟირში აღმოაჩინეს ონიქსის მდიდარი საბადო, საიდანაც წაიღეს პარიზის დიდი ოპერის კიბის ბალუსტრადისათვის საჭირო ქვა. ონიქსს ფართოდ იყენებდნენ სალონების კედლების მოსაპირკეთებლად, ფანჯრის რაფებისა და ბუხრების მოსაკაზმავად. რევოლუციამდელ რუსეთში ონიქსისაგან ამზადებდნენ შუქფარებს, სამაჯურებს, საფერფლეებსა და სხვა ნივთებს.

ძველ საქართველოში ონიქსის გამოყენებაზე მიგვითითებს მრავალი არქეოლოგიური მონაპოვარი და ისტორიულ-ლიტერატურული წყარო. წალკაში ძვ. წ. აღ. მეორე ათასწლეულის შუა პერიოდში მაგიური ამულეტებისათვის გამოუყენებიათ გაპრიალებული ონიქსი. XIX საუკუნის 80-იან წლებში ქობულეთთან ახლოს, ბრინჯაოს იარაღებთან ერთად, აღმოაჩინეს ონიქსის მძივები. მცხეთა-სამთავროშიც ხშირად პოულობდნენ ქალცედონის ჯგუფის ონიქსის მძივებს (XV-VIII საუკუნე ძვ. წ. აღ.).

სხვა ძვირფას ქვებთან ერთად, ანტიკური დროის მცხეთაში სამკაულებად ხშირად იყენებდნენ ონიქსს. 1938-39 წლებში მცხეთა-სამთავროს ნეკროპოლებში აღმოაჩინეს ონიქსითა და სარდონიქსით მოკაზმული ვერცხლისა და ოქროს ბეჭდები, რომლებიც ჩვენი წ. აღ. II-III საუკუნეებით თარიღდება. ახლა არავითარ დაეჭვებას აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ ანტიკური დროის საქართველოში (მცხეთასა და სხვა დასახლებულ პუნქტებში) არსებობდა ქვის საჭრელი სახელოსნოები, სადაც ქართველი ოსტატები მუშაობდნენ ადგილობრივი ქვების დამუშავებაზე, განსაკუთრებით კი კვარცის ჯგუფის მინერალებზე.

ონიქსი ძველ საქართველოში სხვადასხვა სახელწოდებას ატარებდა: ბიბლიაში იგი მოხსენებულია ონიქსის, ფრცხილისა და ანუქიონის სახელწოდებით. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ფრცხილი თვალია, მოწითალო. რაფიელ ერისთავი ონიქსს — ფრცხილს, ონუქითს, ანუქიონს უწოდებს, შემდეგ კი განმარტავს —„ფრცხილი იქნება: თეთრი, შავი, წითელი და სხვადასხვა ფერი: სახელწოდება ბერძნულიდან არის და ჰნიშნავს ფრჩხილს, რადგან ფრჩხილივით წურბლები აზის“.

ონიქსის შესახებ ცნობები გვაქვს ისტორიულ წყაროებშიც: „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ დაცულია არმაზის კერპის გარეგნული სახის აღწერა, რომელიც ნინოს მიეკუთვნება. ამ აღწერაში ნახსენებია ქვა „ფრცხილი“.

ცნობილია, რომ X საუკუნეში ბერძნულიდან ქართულ ენაზე ითარგმნა „თვალთაი“, — ტრაქტატი თორმეტი ძვირფასი ქვის შესახებ, სადაც საკმაოდ ვრცლადაა მოცემული ონიქსის დეტალური აღწერა.

ონიქსს საქართველოში, როგორც საშუალო საუკუნეებში, ისევე გვიანდელ ხანაში, საკმაოდ დიდი გამოყენება ჰქონია. აკადემიკოს ე. ფერსმანის ცნობით, საშუალო საუკუნეებში რუსეთში ამიერკავკასიიდან გიშერთან, ფირუზთან და ობსიდიანთან ერთად მარმარილოს ონიქსიც შემოჰქონდათ ხოლმე.

მარმარილოს ონიქსის ფართოდ გამოყენებაზე მიგვითითებს თბილისისა (ქაშვეთი, კალოუბანი, ვანქი) და ახალციხის ეკლესიებში გაბნეული საფლავის ქვები. აქ გამოყენებული სხვადასხვა ფერის მარმარილოს ონიქსი, ცხადია, შორი მანძილიდან არ იქნებოდა მოტანილი.

საინტერესოა მ. ბეთანოვის ცნობა (იხ. М. Бетанов. „О кавказском мраморном ониксе“. 1901 г.) იმის შესახებ, რომ მას 1897 წელს ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში უნახავს კავკასიის ონიქსისაგან დამზადებული ლარნაკი. იმავე ავტორის ცნობით, 1901 წელს კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე გაუგზავნიათ ახალციხის მარმარილოს ონიქსისაგან დამზადებული სამელნე და პრესპაპიერი, რომლებსაც თავიანთი სილამაზით დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მნახველებზე.

ახალციხის ონიქსი ხასიათდება განსაკუთრებული დეკორატიულობით: ლამაზი ნაყშები, ნახევრად გამჭვირვალობა, ნაზი გადასვლა ვარდისფერიდან ნარინჯისფერში ამ ქვის ნაწარმს არაჩვეულებრივ სილამაზეს აძლევს.

ახალციხესთან ახლოს ე. წ. „მარმალო მთაზე“ წარსულში რომ მარმარილოს ონიქსის საბადო არსებობდა, ამას არა მარტო ამ ადგილის გეოგრაფიული სახელწოდება ადასტურებს, არამედ ამ მოსაზრების სისწორე ცხადი ხდება ნაპოვნი ნივთებით, რომლებიც ონიქსისაგან არის დამზადებული.



ამგვარად, არქეოლოგიური მონაპოვარი და ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები ნათლად მიგვითითებს, რომ ჩვენი ხალხი გლიპტიკასა და დეკორაციულ ხელოვნებაში უძველეს დროიდანვე იყენებდა „ქვას ონიქსს“ — ჩვენი რესპუბლიკის წიაღისეული სიმდიდრის ერთ-ერთ მშვენებას.

ვალერიან ზუხბაია.

# რაკეტა მიიწრაფვის... დედამიწის გულისკენ

საბჭოთა კავშირი მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც დასაბამი მისცა ახალი ერის — კოსმოსის დაპყრობისა და მეცნიერული შესწავლის დასაწყისს.

ის, რაც გუშინ ბევრს დაუჯერებელ ამბად მიაჩნდა, დღეს სინამდვილედ გადაიქცა. მძლავრი, პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვილი საბჭოთა კოსმონავტები გაბედულად შეიჭრნენ კოსმოსში და კაცობრიობას ვარსკვლავების უსასრულოეთისაკენ გაუკაფეს გზა.

ახლა უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა ადამიანები არა მარტო საპლანეტთაშორისო გაფრენას განახორციელებენ, არამედ ღრმად შეიჭრებიან დედამიწის გულშიც.

20-30 კილომეტრის სიღრმეში ჩასასვლელად საჭირო იქნება შეიქმნას გიგანტური ძალის მქონე, თავისუფლად მოძრავი მანქანა, რომელიც აღიჭურვება განსაკუთრებული მბურღავი მოწყობილობით. ამ მანქანას ექნება ზემძლავრი ძრავა და ხანგრძლივ სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო საწვავის საკმაო რაოდენობა.

ე. წ. მიწისქვეშა რაკეტის მართვა დედამიწიდან ძირითადად ისეთი პრინციპით განხორციელდება, რომლითაც კოსმოსურ ხომალდებს მართავენ. ჩვენი პლანეტის სიღრმეში ჩასვლის შემდეგ რაკეტა დედამიწის ზედაპირზე სისტემატურად გამოგზავნის სიგნალებს იმ ფენების თვისებებისა და აღნაგობის შესახებ, რომელთა გავლა მოუხდება მას.

არ არის გამორიცხული, რომ მალე შესაძლებელი გახდება აიგოს ისეთი მანქანა, რომელიც თავისუფლად შეიჭრება დედამიწის გულში, მოხაზავს რკალს, გამოვა პლანეტის ზედაპირზე და თან ამოიტანს მიწისქვეშა ქანების ნიმუშებსა და სხვადასხვა ძვირფას ცნობებს.

თანამედროვე მეცნიერების უდიდესი პროგრესი, რაკეტული ტექნიკის განვითარების მაღალი დონე საშუალებას გვაძლევს უფრო ნათლად და გაბედულად განვჭვრიტოთ მომავალი. როგორც ჩვენი გამოჩენილი სპეციალისტები აღნიშნავენ, მიწისქვეშა რაკეტების სრულყოფისა და განვითარების შემდგომ ეტაპზე შეიძლება დამზადდეს გიგანტური ჭურვის მსგავსი სპეციალური მანქანა, რომელსაც ზღაპრული სიმძლავრე და ენერგიის კოლოსალური მარაგი ექნება. ასეთი ჭურვი თავისუფლად შეიჭრება დედამიწის გულში, სხვადასხვა სახის მეცნიერულ სამუშაოთა ჩატარებასთან ერთად, მიწის ქვეშ 10-12 ათას კილომეტრს გაივლის და ბოლომდე გაბურღავს ჩვენს პლანეტას.

შეიძლება წინდაწინვე დაბეჯითებით ითქვას, რომ საბჭოთა კავშირი, რომელმაც პირველმა შეძლო განეხორციელებინა კაცობრიობის უძველესი ოცნება — კოსმოსის დაპყრობა, პირველი მერცხალი იქნეს აგრეთვე მიწისქვეშა მძლავრი რაკეტების წარმოებაში. ჩვენი სამშობლო ამ ახალ გამარჯვებას, ისევე, როგორც კოსმოსის დაპყრობას, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების, მშვიდობის დაცვისა და მშრომელთა შემდგომი კეთილდღეობის სამსახურში ჩააყენებს.

ი. ელიავა.

# 10 წუთი ტაიმებს შორის

ფოტო მ. ზარგარიანისა.





ფეხბურთის გულშემატკივრები ხშირად ამბობენ, კარგი მწვრთნელი მეორე ტაიმს იგებსო. და თუ ეს ვინმეზე ითქმის, პირველ რიგში თბილისის „დინამოს“ მწვრთნელ მიხეილ იაკუშინზე.

და მაშინ, როცა მსაჯის სასტვენი ბრძოლაში მთელი არსებით ჩართულ ფეხბურთელებს აუწყებს პირველი ტაიმის დამთავრებას, როცა ფეხბურთელები მოღლილი ნაბიჯებით გაემართებიან გასახდელისაკენ, მაყურებელი ცდილობს გამოიცნოს, რა სიახლეს შეიტანს მწვრთნელი თამაშის ტაქტიკურ გეგმაში.

თამაშით გართული ფეხბურთელები ხშირად ვერ ამჩნევენ მოწინააღმდეგისა და საკუთარ შეცდომებს. ფეხბურთში ძალზე გათვითცნობიერებულ გულშემატკივრებსაც უჭირთ გამოიცნონ მოედანზე „ამინდის“ შემქმნელი ნიუანსები, რომელიც არ გამოეპარება მწვრთნელის თვალს და თანაც ისეთი მწვრთნელისას, როგორიც მიხეილ იაკუშინია.

ქართველ გულშემატკივრებს დიდხანს ემახსოვრებათ თბილისელთა გამარჯვება ტაშკენტის „პახტაკორთან“. ეს იყო წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი და აი, როცა ფეხბურთელები შესასვენებლად გაემართნენ გასახდელისაკენ, ჩვენი ფოტოკორესპონდენტი შეიპარა დინამოელთა „შტაბში“ და ფოტოფირზე აღბეჭდა ის დამახასიათებელი მომენტები, რომლებიც შეიძლება ყოველთვის ნახოთ ამ ათი წუთის განმავლობაში.

№ 1 სურათზე თქვენ ხედავთ მიხეილ იაკუშინს. მის ენერგიულ სახეს ოპტიმისტური იერი დაჰკრავს და არცაა გასაკვირი, პირველი ტაიმი მოგებულია ორი ბურთის განსხვავებით. იგი ჩვეული ექსტაზით არჩევს თამაშს და სახავს ბრძოლის ახალ გეგმას.

გ. სიჭინავა, შ. იამანიძე, და ი. დათუნაშვილი (სურათი № 2) ყურადღებით ისმენენ მწვრთნელის დარიგებას და თან მოღლილ ფეხებს ასვენებენ. ბ. სიჭინავა (სურათი № 3) ჩაით ისველებს გამშრალ პირს და თან ცდილობს არ გამორჩეს მ. იაკუშინის არც ერთი სიტყვა. მიხეილ მესხი კი (სურათი № 4) შეშფოთებული დასცქერის მტკივან ფეხს, ფეხს, რომლის ძალასაც კარგად იცნობენ ჩვენი პლანეტის მრავალ ქვეყანაში, სადაც კი მიშას მოწინააღმდეგეთა მცველებთან ჩაუტარებია თავისი ცნობილი „ვარიაციები“, „ვინ იცის, იქნებ ექიმმა არც კი დამრთოს მეორე ტაიმში გამოსვლის უფლება“, — შიშობს იგი.

ტაქტიკური გეგმა უკვე შემუშავებულია, ახლა იაკუშინი სათითაოდ ესაუბრება თავის ბიჭებს, ამხნევებს და უთითებს მათ. „პირველი ტაიმი მოგებულია, — ეუბნება იგი გ. ჩოხელს (სურათი № 5). ახლა საჭიროა მეტი სითამამე, ტემპი და შეტევა“. მწვრთნელი უფლებას რთავს მას — უფრო თავისუფლად იმოქმედოს და ხშირად შეუტიოს მოწინააღმდეგის კარს.

ათი წუთი ამოიწურა, ფეხბურთელები მიემართებიან გასასვლელისაკენ. № 6 სურათზე თქვენ ხედავთ მ. ხურცილავას და მ. იაკუშინს. მწვრთნელი კმაყოფილია, მურთაზმა საიმედოდ ჩაკეტა ტაშკენტელთა მთავარი „ბომბარდირი“ კრასნიცკი. მ. ხურცილავა ყურადღებით ისმენს მწვრთნელის უკანასკნელ გაფრთხილებას.

მოედანზე კი უკვე ისმის გამოსასვლელი მარშის მელოდია და მაყურებელთა ყიჟინა. იწყება წარმტაცი და დრამატული მომენტებით აღსავსე მეორე ტაიმი.









ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მე, პელე"

ამ რამდენიმე ხნის წინათ ბრაზილიაში გამოვიდა სახელგანთქმული ფეხბურთელის პელეს წიგნი — „მე, პელე".

ბრაზილიელი ჟურნალისტი ლურარია ფრანცისკო ალუესმა პელესთან ხანგრძლივი მეგობრობის შემდეგ მდიდარი მასალა შეაგროვა მსოფლიოში „შავ მარგალიტად" ცნობილი ფეხბურთელის ცხოვრებაზე, რაც საფუძვლად დაედო ზემოხსენებულ წიგნს.

წიგნს წინ წამძღვარებული აქვს ლურარია ფრანცისკო ალფესის წერილი სათაურით „ჩემი მეგობარი", სადაც იგი გვაცნობს დიდი ფეხბურთელის კეთილშობილურ თვისებებს და გვიამბობს, თუ როგორ შეიქმნა ეს წიგნი.

ჩვენი ჟურნალის მომავალი ნომრიდან ვიწყებთ პელეს წიგნის შემოკლებული თარგმანის ბეჭდვას.

# ორიოდე სიტყვით

საბჭოთა კავშირში ამას წინათ წყალში ჩაუშვეს ახალი გემი „პოლტავა", რომელსაც შეუძლია საწვავის შეუვსებლად სამჯერ იმოგზაუროს ოდესიდან ნიუ-იორკამდე

• • •

ხარკოველმა სპეციალისტებმა შექმნეს ორიგინალური "ზარბაზანი" ლითონის გასაჭრელად. გასროლის დროს ლულიდან წამში 50 მეტრის სისწრაფითვარდება სპეციალური მოწყობილობა, რომელიც ზუსტად ჭრის ლითონს.

ზარბაზანს შეუძლია წუთში 30-ჯერ გაისროლოს.

• • •

სუეცის არხზე შენდება უზარმაზარი ხიდი, რომლის სიგრძე 317 მეტრი იქნება, სიგანე — 148 მეტრი.

• • •

ერთ-ერთი პარიზელი ექიმი, რომელიც დიდხანს აწარმოებდა დაკვირვებას, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მანქანებით მოსიარულენი უფრო ხშირად ავადმყოფობენ, ვიდრე ფეხით მოსიარულენი.

• • •

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამზადეს ზემგრძნობიარე თერმომეტრი, რომელიც სხეულის ტემპერატურას ზუსტად უჩვენებს რამდენიმე სანტიმეტრის მანძილიდან.

ახალი თერმომეტრი ძირითადად გამოიყენება სამრეწველო დანიშნულებისათვის — სითხეების ტემპერატურის გასაზომად.

# სხვადასხვა

### „გადაჰკარით"... სუფთა ჰაერი

მიუნხენში გაიხსნა სპეციალური ბარი, სადაც მსურველებს შეუძლიათ „გადაჰკრან" ერთი ჭიქა... სუფთა ჰაერი.

მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ სურვილისამებრ აირჩიონ წყნარი ოკეანის, ევკალიპტების ტყისა თუ წიწვიანი მცენარეებისათვის დამახასიათებელი სუფთა ჰაერი, რომელსაც სპეციალური მოწყობილობის საშუალებით შეისუნთქავენ.

### ქიმიკოსები ზრდიან მოსავალს

ბულგარელმა ქიმიკოსებმა შექმნეს რამდენიმე პრეპარატი, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე.

ერთ-ერთი პრეპარატი „დომატონი" არა მარტო მნიშვნელოვნად ზრდის მცენარეთა მოსავლიანობას, არამედ ნაყოფის დამწიფებასაც აჩქარებს.

„დომატონის" გამოყენების შედეგად ნაყოფი რამდენიმე კვირით ადრე ასწრებს დამწიფებას.

### სიახლენი მედიცინაში

პოლონეთში დაამუშავეს თვალის ბროლის სპეციალური პლასტიკური ნივთიერებით შეცვლის მეთოდიკა.

პლასტიკურ ნივთიერებას ათავსებენ თვალის რქოვან შრეებს შორის. ახალი მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა მხედველობა დავუბრუნოთ კატარაქტით დაავადებულ ავადმყოფთა დიდ ნაწილს.

### ფიზიოლოგიური ვიბრატორები

იუგოსლავიაში დაამზადეს სპეციალური ფიზიოლოგიური ვიბრატორები, რომლებიც ადამიანებს დასვენების საამო შეგრძნებას უქმნიან.

მეცნიერთა დაკვირვებით, ფიზიოლოგიური ვიბრატორი იმდენად ეფექტურია, რომ ადამიანის ორგანიზმზე მისი ერთწუთიანი მოქმედება საუკეთესო პირობებში დასვენების რამდენიმე საათს უდრის.

განზრახულია ასეთი ვიბრატორები დაიდგას დიდი ქალაქების ხალხმრავალ ქუჩებსა და მოედნებზე.

### ქურდები უძლური არიან

ინგლისში დაამზადეს ორიგინალური ჩემოდნები, რომლებსაც ძირითადად ინკასატორები გამოიყენებენ.

მძარცველების თავდასხმის შემთხვევაში, სპეციალურ ღილაკზე თითის დაჭერისთანავე, ჩემოდნიდან სწრაფად გადმოიშლება სამი ლითონის ჯოხი. ეს ჯოხები იმდენად გრძელია, რომ მძარცველები ველარ ახერხებენ ჩემოდნის სწრაფად და მოხერხებულად გადატანას. გარდა ამისა, ქურდების დასაფრთხობად ჩემოდნიდან განუწყვეტლივ გაისმის პოლიციელის სასტვენის ხმა.




LE CHEMIN DE L'AMITIÉ PASSE PAR VARNA

წელს ბევრი სტუმარი ეწვია ვარნის ჟურნალისტთა საერთაშორისო დასასვენებელ სახლს. ამ ზაფხულს აქ ისვენებდნენ ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი, ქართველი და სხვა ქვეყნის ჟურნალისტები.

აქ გაატარა ზაფხული გამოჩენილმა ინგლისელმა მწერალმა ჯეიმს ოლდრიჯმა. ოლდრიჯი ძალიან გაახარა ქართველების მეზობლობამ გვერდით ოთახში. მან სიამოვნებით გაიხსენა საქართველოში გატარებული დღეები და ქართველ ჟურნალისტებს გაუზიარა თავისი გეგმები, შემდეგ თქვა: „ვამთავრებ ახალ ნაწარმოებს — „ქვეყნის ტყვე". ქართველები ამ წიგნში ბევრ რამეს წაიკითხავენ თავისი სამშობლოსა და თანამემამულეების შესახებ".

წელს აქ ისვენებდა ცნობილი ფრანგი კარიკატურისტი ჟაკ კამბი. კამბი ოცდაცხრა წლისაა. იგი „ლუმანიტეს" მთავარი მხატვარია.

„ოცდაცხრა წლის მანძილზე, — ამბობს კამბი, — უკვე მოვასწარი საკმაო ხანი დამეყო საპატიმროში. რაც შეეხება ჩემს მსოფლმხედველობას, ათი წელია, რაც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგებში ვარ, დიდი სურვილი მაქვს ვნახო საქართველო. მე მას უკვე ვიცნობ კონსტანტინე გამსახურდიასა და კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნაწარმოებებით. ვფიქრობ ეს ოცნება გაისად განვახორციელო. მანამდის კი კონტაქტი უნდა დავამყარო ქართულ პრესასთან. ვნახოთ, რას იტყვიან „დროშის" მკითხველები". კამბი ერთ წუთს ჩაფიქრდა, შემდეგ ნახატს ფრანგულად წააწერა: „სიყვარულის ხიდი ვარნაზე გადის".

— ეს იმიტომ, — განაგრძობს კამბი, — რომ პირველი ქართველი მეგობარი ვარნაში შევიძინე.

ბარი მეტრეველი.

### ჟურნალ „დროშის" № 9-ში წამოქვეყნებული კროსვორდის პასუხი:

ჰორიზონტალურად: 3. ლაგომაჯიორე; 5. კოკორინი; 7. აკვარელი; 11. ქნარი; 13. ოდეტა; 15. არე; 16. ალი; 18. ფილოსოფია; 20. აბაი; 21. ერგი; 22. არშია; 25. ჩარჩი; 27. ანატომია; 29. კონცერტი; 30. ინდულგენცია.

ვერტიკალურად: 1. ამური; 2. იჯარა; 3. ლოკოკინა; 4. ევერესტი; 5. კონტრიბუცია; 6. ნარი; 8. კილო; 9. ინტელიგენტი; 10. აკროსტიქი; 12. რეიდი; 14. დაირა; 17. სია; 19. ლეი; 23. როსტანი; 24. ახლი; 25. ჩელო; 26. ჩელესტა; 28. ალალი; 29 კორეა.

გარეკანის პირველ გვერდზე: რუსთაველი მეტალურგები.
ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.

მეოთხე გვერდზე: ზღვის სანაპიროზე.
ფოტო გ. თიკანაძისა.

რედაქტორი ა. ძიძიგური. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ. გარეკანი და ჩანართი დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/X-62 წ. გამომც. № 105, ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი — ამ 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 23 500, შეკვ. № 1856, უე 04659

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. №14.

# იუმორი



.... ნახ. ლ. სიხარულიძისა

*

ერთი ბიჭი შევიდა მაღაზიაში და ნოქარს ჰკითხა:
— რა ღირს ერთი გირვანქა ყავა?
— 2 ფრანკი და 50 სანტიმი.
— ერთი გირვანქა შაქარი?
— 60 სანტიმი.
— რა ღირს ორი გირვანქა ყავა და სამი გირვანქა შაქარი?
— ექვსი ფრანკი და 80 სანტიმი.
— მე თუ მოგცემთ 10 ფრანკიანს, რამდენს დამიბრუნებთ ხურდას?
— 3 ფრანკს და 20 სანტიმს?
— გმადლობთ. დამიწერეთ ქაღალდზე.
— სიამოვნებით, მაგრამ მითხარით, რატომ მკითხე ყოველივე ეს?
— ეს არის ამოცანა, რომელიც მასწავლებელმა მოგვცა ამოსახსნელად, — უთხრა ბიჭმა და მოკურცხლა.

ფრანგულიდან თარგმნა ზ. ღუნღუამ.



ნახ. ლ. სიხარულიძისა



ნახ. ლ. სიხარულიძისა

## მგელი ლომის მფარველი

### იგავი

სოფლის ბოლოს. ტყის ნაპირას,
სადაც ფერმა იდგა ველად,
მგელი — ლომის ნათლიმამა —
იჯდა ფერმის ხელმძღვანელად.
ფერმის გამგე ცხვარს თუ ძროხას,
ვით საკუთარს, ისე თვლიდა,
სულ იმაზე ოცნებობდა.
შინისკენ რა გაეზიდა.
ბოლოს რომ ვერ მოითმინეს,
ერთი აზრით ალსდგა ყველა:
მგელი პროკურატურისთვის
გადაეცათ დასასჯელად.
მაგრამ სწორად უთქვამთ. თურმე,
„ჯოჯოხეთშიც გადის ქრთამი“...
მგელმა გამომძიებელთან
„ხელის ჭუჭყით“ იხსნა თავი.
„კაცი კაცით, ლობე ქაკვ—ო“.
არც ეს უთქვამთ მრუდედ ჩვენში.

მგელი ახლა თავმჯდომარედ
აირჩიეს ერთ სოფელში.
მალე აქაც ქურდბაცაცას
შეეცვალა მწარით ტკბილი, —
ღამით ორმა თოფიანმა
წააბრძანა გათოკილი.
და ეს იცით რატომ მოხდა?
გიპასუხებთ სულ ორ პწკარში:
თურმე ქურდის მფარველებიც
მიუციათ სამართალში.

*

ამ იგავის სტრიქონები
ვისაც გულზე ხვდება ლახვრად,
დღეს რომ ასე დაფარფაშობს,
ხვალ სამსჯავრო სკამზე ვნახავთ.

ქიშვარდი ისააკძე.

იუმორ



ეროვნული
ბიბლიოთეკა